

ქართულ-სომხური ურთიერთობები XVIII-XIX სს-ში

ქეთევან აფციაური

გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთმა კავკასიაში ფეხი მძლავრად მოიკიდა. ამის შემდეგ ცარიზმი ცდილობდა ამ პლაცდარმის განმტკიცებას და გაფართოებას, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ხელყოფით ემუქრებოდა.

მოსე ჯანაშვილი (მ.ჯანაშვილი “ერეკლე მეფე” გაზ. “საქართველო” 1919 17 ოქტომბერი;) აღნიშნავდა, რომ “ ... ერეკლეს ყველა მოლოდინი სინამდვილეში ჩაიშალა: მართლმადიდებლობა ურწმუნოებამდე დავარდა, თბილისი ათენად ვერ იქცა, ქართული სული კინალამ განქარვების საზღვრამდე მივიდა, ქართული ტკბილი და სიყვარულის ენა შეიბღალა და სხვადასხვა უმსგავს ნართულებით სასხსენებელი შეიქმნა, ქართული კანონები და ფული მოისპო, საქართველო აღდგენის მაგიერ ეღირსა მის უკეთესი ნაწილებად გაყიდვის და მკვიდრ ქართველთა გადასახლებას და უცხოთა ჩამოსახლებას, ქართველი ხალხის თავისუფალ განვითარებას მიაყოლეს მისი გადაგვარების მანქანები”.

ცარიზმის სამეფო კარის მოხელეებს ძლიერი საქართველო კი არ უნდოდათ, არამედ სუსტი და დაბეჩავებული, რათა საბოლოოდ მიეერთებინათ რუსეთისათვის. რუსეთის ამ პოლიტიკამ ფაქტობრივად განაპირობა ალა-მაჰმად ხანის შემოსევა საქართველოში. ოფიციალური ცნობებით ქართლ-კახეთის მოსახლეობა 1783 წლიდან 1801 წლამდე განახევრდა. ქართველების ერთმა ნაწილმა საქართველო მიატოვა და სხვა, უცხო ქვეყნებში გადასახლდა. განსაკუთრებით დაიცალა თრიალეთი-ლორე წალკის მიდამოები და სხვა.

რუსეთის პოლიტიკა ყველა დაპყრობილი ხალხების გარუსებას ითვალისწინებდა, ამიტომ იგი საქართველოს დასუსტებასა და მოსპობას შეუდგა. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთმა ამიერკავკასიის ყველა ეთნიკური ერთეული საქართველოს დაუპირისპირა. რუსეთის ამ დიდმპყრობელური პოლიტიკის განხორციელების იარაღად იქცნენ სომხები, რომლებიც, თავის მხრივ, იმას შეეცადნენ, რომ რუსეთი დიდი სომხეთის აღსადგენად გამოეყენებინათ საქართველოს მიწა-წყლის მიტაცების ხარჯზე.

სომხები ალა-მაჰმად ხანის შემოსევის მოლოდინში და თვით შემოსევის დროს “აწარმოებდნენ ორჭოფა პოლიტიკას, ერთსა და იმავე დროს ღმერთსაც უნთებდნენ სანთელს და ეშმაკსაც, ე.ი. რუსებსაც უშლიდნენ ხელს ფიანდაზად და ეპატიჟებოდნენ საქართველოში საბატონოდ, ალა-მაჰმად ხანსაც უგზავნიდნენ ფულსა და ფაშქაშებს, მოუძღოდნენ წინ ქართლ-კახეთის დასაპყრობად”.

ქართული წყაროების მიხედვით ალა-მაჰმად ხანის თბილისში შემოსვლას სომეხმა მელიქებმა ხელი შეუწყვეს და ყველაზე თვალში საცემია ჯავად ხანის სახელი. სომხური

წერილობითი ძეგლები დაუფარავად ამხელენ ამ საქმეში კარაბერდის მელიქ მეჭნურის მონაწილეობას.

ი. ჯავახიშვილი (ი. ჯავახიშვილი-საქართველოს საზღვრები – გვ-38) აღნიშნავს, რომ “სომეხმა კათალიკოსმა ლუკამ საქ-ოს ასაოხრებლად 1795 წელს მომავალ სპარსეთის შაჰს ალა-მაჰმად ხანს, ალბათ შიშით, “სამხედრო ხარჯების დასაფარავად 100 ათასი მანეთი მისცა”, ხოლო არტემ არარატელმა და სხვა სომეხებმა გააპარეს თბილისში პატიმრად მყოფი სპარსეთის ელჩი და წასასვლელად გამზადებული ალა-მახმად ხანი უკან შემოაბრუნეს”. საყურადღებოა, რომ სპარსელები სომეხებს არ ერჩოდნენ. ქართველთა 20-ზე მეტი ეკლესია დაანგრეს. სომეხთა ეკლესიები კი უვნებელი გადარჩა. 1850 წელს მწიგნობარი დავით ამირეჯიბი და მსახიობი ელიაზარაშვილი (ელიზაროვი) მოგვითხრობდნენ: “1795 წ. ომის შემდეგ თბილისი დაცარიელდა. მტერმა დასწვა 3 ხიდი და მასთან მთელი ქალაქი, დააქცია და დასწვა ისეთი საყდრებიც კი, რომლებიც თლილი ქვით იყო აშენებული. ამ დროს, ქართველთა 20-ზე მეტი საყდარი დაუნგრევიათ. გადარჩა მხოლოდ მეტეხი, ჯვრის მამა, სიონი, ანჩისხატი და ქვაშეთი. სომეხთა საყდრები უვნებლად გადარჩა, მხოლოდ შიგ დამალულნი კი ამოწყვიტეს. ასე გაგრძელდა საათნახევარს. სიკვდილის შიშით ბევრი ქართველიც ამბობდა სომეხი ვარო.მტრის წასვლის შემდეგ ქართველთა ეკლესიები უპატრონოდ იყო.ხუცები არსად ჩანდნენ ყველა შიშით ქალაქს გასცლოდა.თბილისში დარჩენილთაგან ზოგნი ტყვედ წაიყვანეს და ზოგნიც ომში დაიხოცნენ.ქართველთაგან ვინც კი გადარჩა,სომხურ ეკლესიაში იწყო სიარული. დოსითეოს ფიცხელაურის გადმოცემით, ჩუგურეთში, კუკიაში,შავ სოფელში, ვერაზე და ავლაბარში ძალიან ბევრმა ქართველმა მიიღო სომეხთა რჯული.ყველა ქართველი იმას ამბობდა: „ოღონდ ქრისტიანები ვიყოთ და რჯული, რომელიც უნდა იყოსო.”

რაც შეეხება სოფლებს, აქაც თითქმის მთელმა სოფლებმა იწყეს რჯულის შეცვლა. ამ დროს მოექცნენ სომეხ-გრიგორიანელებად სოფელ თელეთის მცხოვრებლები. გაქართველება აღარ ხერხდებოდა, რადგან მათ მტრისათვის ფიცი ჰქონდათ მიცემული, რომ ჩვენ სომეხები ვართო, თანაც მტრის უკან მობრუნების შიშიც ძლიერი იყო. ამ დროს არიან გასომხებული მაისურაძეები, ლაზარეშვილები, რამილიკულაშვილები და სხვ.

ერეკლე II –ის გარდაცვალების შემდეგ ცარიზმი დიდი მონდომებით ამზადებდა ქართლ-კახეთის სამეფოს თვითნებური მიერთებისათვის. რუსეთის დიპლომატია და დაზვერვა დასაყრდენ ძალას ეძებდა თავისი ანექსიური მიზნების განხორციელებისათვის. ერთ-ერთ ასეთ საიმედო ძალად ცარიზმს მიაჩნდა ქართლ-კახეთის სამეფოში სომეხების ჩამოსახლება, სომეხ ვაჭარ-ხელოსანთა გაძლიერება. ამ შემთხვევაში ცარიზმისა და სომეხ შოვინისტთა ინტერესები ემთხვევა. ჩვენს ხელთ არსებული მასალა გვიჩვენებს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან მიერთებასა და ბაგრატიონთა ტახტის გაუქმებაში დიდ დაინტერესებას იჩენდნენ პეტერბურგისა და საქ-ოს სომეხი დიდ ვაჭრები და სასულიერო წრეები. ისინი საქ-ოს მთავრობისადმი უნდობლად, ოპოზიციურად იყვნენ განწყობილი და მხარს უჭერდნენ ყოველ ძლიერ ხელისუფლებას, რომელიც უზრუნველყოფდა მათ უშიშროებას. ამ პერიოდში კი, ამიერკავკასიაში და პირველ რიგში საქ-ში ხელისუფლების განმტკიცებისათვის

აუცილებელი ძალები ადგილობრივად არ მოიპოვებოდა. “იგი შეიძლებოდა მოსულიყო მხოლოდ გარედან,- მიუთითებს აკად. პეტრე გუგუშვილი, - (საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკ. განვითარება XIX- XX სს. ტ I, თბ 1949 გვ.79)- და რამდენადაც ახლოვდებოდა ასეთი ძალა რუსეთის ცარიზმის სახით, სომეხი ვაჭრები ყოველმხრივ უნდა ცდილიყვნენ ამ პროცესის წაქეზებას და დაჩქარებას; ამდენადვე, მეტი თუნაკლები სითამამით, ეს ვაჭრები კისრულობდნენ ცარიზმისგან აქ ყოველგვარ დავალებას და ბოლოს იქცეოდნენ მის აშკარა აგენტებად”.

როგორც უკვე ავლინებთ, სომხეთის განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ მოიცვა სომეხი ხალხის ყველა წოდება, წამოაყენა ბევრი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ მრეწველ-კომერსანტი ივანე (ოვანეს) ლაზარევი და კათალიკოსი იოსებ (ოსეპ) არლუთინსკი. XVIII საკ-ნის 80-იან წლებში რუსეთის ცარიზმმა სწორედ მათთან დაიწყო მოლაპარაკება სომხეთის განთავისუფლებისა და ამიერკავკასიაში სომხური სახელმწიფოს აღდგენისათვის.

საქ-ოს სამეფოს დაცემის დაჩქარებაში პეტერგურგისა და მოსკოვის სომხური კოლონიის აქტიურ მონაწილეობას ადასტურებს მთავარმართებელ გენერალ კნორინგის, გენერალ ლაზარევისა და თბილისის სომეხ დიდვაჭართა “საიდუმლო ურთიერთობა” ეს ერთიანი მოქმედების ანტიქართული გეგმა ვრცელდებოდა პეტერბურგიდან მოსკოვამდე, აქედან მოზდოკამდე და შემდეგ თბილისამდე. საქ-ში რუსეთის ჯარების მთავარსარდალი გენერალი ლაზარევი 1801 წლის 20 იანვრის ერთ-ერთ – რესკრიპტში კნორინგს მოახსენებდა:”აქ ამ დღეებში მოზდოკიდან ჩამოსულმა სომხებმა ხმები დაჰყარეს, რომ თქვენი აღმატებულება მალე აქ ჩამობრძანდებით და ბატონიშვილ ვახტანგს წმინდა ანას ორდენს ჩამოუტანთ. სწორედ საკვირველია, რომ მე აქაურ სომხებისაგან თითქმის მუდამ რამდენიმე დღით უფრო ადრე ვტყობილობ, თუ რაგვარ ბრძანებას მივიღებ მე შემდეგ, ანუ რა სახის განკარგულება უნდა მომივიდესო”.

სომხების დაინტერესებას სამეფო ტახტიდან ბაგრატიონთა დინასტიის ჩამოცილების საქმეში ადასტურებს აგრეთვე ისტორიკოსი ალექ. ჯამბაკურ ორბელიანი. იგი მიუთითებს, რომ საქ-ოს წინააღმდეგ შეთქმულ სომხობას ორქივატერიის კაცები მოსდიოდათ და მოსდიოდათ საქ-ოს დამხობისათვის. მათ ორქივატერისაგან მოსდიოდათ დიდძალი ფული, ყოველ ქალაქსა და დიდ სოფელში თავიანთი აგენტები ჰყავდათ, გულწრფელ ქართველებს ურჩევდნენ მას, რაც მათ სურდათ”.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სომეხი ერი საქ-ოს ტახტისადმი ერთგულების ტრადიციას ძველადვე იჩენდა. საქ-ში რუსეთის სამხედრო საოკუპაციო რეჟიმის დამყარების შემდეგ სომეხთა ერთი ნაწილი ძველებური გულწრფელობით და ლოიალობით იდგა სამეფოს სადარაჯოზე. რუსეთის დამკვიდრებით არავითარ შვებასა და ბედნიერებას არ მოელოდა.

გენერალი ლაზარევი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების დასაჩქარებლად ყველაზე ვერაგულ და ბინძურ მეთოდებს იყენებდა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით მან მიოსყიდა ერეკლე II –ის შვილი ვახტანგ ბატონიშვილი. რუსებმა მას უბოძეს ორდენები და ჩინები, დაუნიშნეს მაღალი პენსია. ვახტანგს აქეზებდა ვინმე ბაბახაშვილი, რომელმაც შესძლო

სამეფო ოჯახის წევრთა შორის შუღლი ჩამოეგდო. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების დაჩქარებისათვის ქართველთა მოძულე ლაზარევი ყოველდღე ახალ-ახალ ვერსიებს ქმნიდა, გზავნიდა შიკრიკებს. წერდა ბრძანებებს, აპატიმრებდა და სჯიდა ურჩებს, რათა რუსეთის ხელისუფლება განემტკიცებინა და საქ-ოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ყოველგვარი ნაშთი გაექრო. თბილისის წარჩინებულ სომეხთა ერთი ნაწილი კიდევ უფრო აგულიანებდა გენერალ ლაზარევს, სახელმწიფო საბჭოს საიდუმლო ინსტრუქციის შესაბამისად ბატონიშვილებს ლაზარევმა და საერთოდ სამეფო საგვარეულოს ყველა წარმომადგენელს ადგილ-მამულები ჩამოართვა. ყველაზე უფრო სასტიკად მარიამ დედოფალს მოექცნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსებმა საქართველოს უკანასკნელი წისქვილიც კი არ დაუტოვეს. მარიამს ჩამოართვეს თავისი სასახლე და სამკურნალო მმართველობას გადასცეს, ხოლო ის სასახლე, სადაც გადასახლებამდე იგი ცხოვრობდა ხაზინამ კერძო პირს მიჰყიდა.

ამრიგად ჩვენს მიერ გაანალიზებული მასალები გვიჩვენებს, რომ რუსეთის ცარიზმმა მოხერხებულად გამოიყენა რუსეთში სომხური კოლონიის მრეწველ-კომერსანტთა, საქ-ოს ფეოდალური საზოგადოების სომხური ნაწილი და სომეხი დიდვაჭრები ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების საქმეში. სომეხმა მრეწველ-კომერსანტმა ივან ლაზარევმა, გენერალმა ლაზარევმა, კათალიკოსებმა იოსებ არღუთინსკიმ, ლუკამ, დარჩია ბებუთაშვილმა და სხვებმა უდიდესი სამსახური გაუწიეს რუსეთის ბატონობის დამყარებას საქ-ში. ცარიზმა სათანადოდ დააფასა ეს ერთგულება და შემდგომ წლებში ოსმალეთიდან გადმოსახლებული 100 ათასობით სომეხი საქ-ოს მიწა-წყალზე დაასახლა.

უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლე II სარწმუნოების საკითხს განსაკუთრებული ყურადღებით არ ექცეოდა. ქართველი მართმადიდებელი კათოლიკობას მიიღებდა თუ სომხურ გრიგორიანულ რჯულს მისთვის სულ ერთი იყო. სარწმუნოებისადმი ზერელე დამოკიდებულებას მოხერხებულად იყენებდნენ ტერტერები. მათ მხარს უმაგრებდა და აფინანსებდა ექშიაძინის სინოდი. იშვიათი როდი იყო, რომ ოსმელათსა და სპარსეთში გატაცებულ ქართველ ტყვეებს ყიდულობდნენ, საქ-ში ჩამოყავდათ და სომხურ გრიგორიანულ სარწმუნოებაზე აქცევდნენ. სომეხი ქართველ ქალს რომ შეირთავდა არამარტო შვილი ინათლებოდა სომხად, არამედ ცოლიც სომხდებოდა.

1804 წელს ერევნის სახანოდან თბილისში ჩამოსახლებულთა რიცხვი 2000 სულს უდრიდა. 1807-08 წწ. თბილისის გუბერნიასა და ავლაზარში ჩამოსახლდა სომეხთა 338 ოჯახი (1906 სული). მთავარმართებელ ტორმასოვის დროს – 1809-11 წლებში ბოლნისში ყარაბაღიდან ჩამოსახლდა სომხის 428 ოჯახი (2140 სული).

XIX ს. პირველ მესამედში მას შემდეგ, რაც რუსეთმა ამიერკავკასია მიიერთა, კიდევ უფრო გამწვავდა ურთიერთობა რუსეთსა და ირან-თურქეთს შორის. ახლა რუსეთის მთავარი ამოცანა იყო სამხრეთის საზღვრების საიმედო ჩაკეტვა. მთავრობის ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლებოდა ირანისა და თურქეთის საზღვრებთან ყველაზე ერთგული ხალხის დაახლოებით, რომლებიც შეძლებდნენ არა მარტო სამხრეთის საზღვრების საიმედო დაცვას, არამედ სახელმწიფოს გაანთავისუფლებდნენ იმ

კოლოსალური ხარჯებისგან, რომლებსაც იგი ახმარდა საზღვრების დამცველი ჯარის შესანახად.

1828 წ. თურქეთთან რუსეთის ჯარების წარმატებებმა მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ კაზაკთა სამხედრო დაბების მოწყობა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა სამცხე-ჯავახეთში, მაგრამ 80 ათასი “მალორუსი კაზაკების” გადმოსახლება მთელ რიგ ეკონომიკურ და სხვა ხასიათის სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ მეფის მთავრობამ ამ დიდ ღონისძიებაზე უარი თქვა. გადაწყდა თრიალეთსა და ჯავახეთში თურქეთიდან ქრისტიანი სომხები და ბერძნები ჩამოსახლებინათ.

ცარიზმის პოლიტიკური მიზანი იყო საქ-ში ეთნიკური სიჭრელის შექმნა. რუსეთისადმი ქართველი ხალხის ერთგულება მეფის მთავრობას რატომღაც არ სწამდა, ამიტომ იყო, რომ უარი უთხრა იმერეთში გახიზნულ მესხ მოსახლეობას განთავისუფლებულ ტერიტორიაზე დასახლებაზე.

რუსეთის იმპერიული პოლიტიკა სამცხე ჯავახეთში სომხების ჩამოსახლების დროს მიზნად ისახავდა არა იმდენად სომხების უშიშროების უზრუნველყოფას, რანდენადაც თვით საქ-ში ქართული მოსახლეობისადმი დაპირისპირებული არაქართული ეთნიკური ელემენტის შექმნას. “რუსეთის მთავრობისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისთანავე, - წერდა ივ. ჯავახიშვილი 1925 წ. 2 ივლისის საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ მოხსენებაში “-რუსთ სახელმწიფოს წარმომადგენელნი ერთი მხრით, სომეხ მოხელეთა დაწინაურებით, მეორე მხრით, რუს ნასალდათართა დასახლებით, ქართველთა მოსახლეობის ინტერესების შელახვისა და მიწა-წყლის ეთნოგრაფიულად აჭრელებით ქართველთა მოულოდნელი პოლიტიკური მოძრაობისაგან უზრუნველყოფას ცდილობდნენ. სომხები მათ აპოლიტიკურ ხალხად ჰყავდათ მიჩნეული და ამასთანავე ერთგულად სთვლიდნენ. უკვე 1828 წლიდან მოყოლებული, როდესაც ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთი მამა-პაპური სამოსახლეოთგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს, გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთიმერეთითგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთითგან გადმოსახლებულ სომეხთაგან 30 ათასი მცხოვრები ჩაასახლა. ამ ხელოვნური საშუალებით მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველი მოსახლეობა 95%-ს აღემატებოდა, 1832 წელს უკვე, რუს მოხელეთა წყალობით უმრავლესობა სომხები იქცნენ”.

სომხური გრიგორიანული ეკლესიის მესვეურები ადრიდანვე ცდილობდნენ ქართველებისათვის სარწმუნოება შეეცვალათ. მათ სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლებისთანავე ბევრგან, სადაც მათ ირგვლივ ქართველები ცხოვრობდნენ, სომხური ტიპიკონი დააკანონეს, გახსნეს სომხური სასულიერო სასწავლებლები, ხოლო შემდეგ ყოველმხრივ ცდილობდნენ ქართველებისთვის ეროვნება და სარწმუნოებრივი აღმსრულებლობა გაეიგივებინათ. გარკვეულ შემთხვევებში ამას წარმატებით აღწევდნენ კიდევ არა მარტო სამცხე-ჯავახეთში, არამედ საქ-ოს სხვა კუთხეებშიც. ამასთან, მეტად

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სომხების გადმოსახლება-გამრავლებასთან დაკავშირებით ცარიზმმა უარყო “იქაური ქართველ კათოლიკეთა ქართველობა და ისინი ქართულ ენაზე მოლაპარაკე სომხებად გამოაცხადა. 1886 წლის 27 თებერვლის დადგენილებით აიკრძალა ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა და ძალდატანებით სომხურად შეცვალა. ამას დაემატა ისიც, რომ ყველა სკოლაში სწავლება რუსულ ენაზე შემოიღეს”. ამის შედეგად მოსახლეობის შემდეგ აღწერებში ბევრი ქართველი სომეხად ან რელიგიური კუთვნილების მიხედვით სხვა ეროვნებად ჩაწერეს.

ვ. ჯაოშვილის გაანგარიშებით, თუ 1800 წელს საქ-ში 47 ათასი სომეხი ცხოვრობდა, 1832 წლისათვის მათმა რაოდენობამ 84 ათასს მიაღწია. ამავე პერიოდში კი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 37 ათასიდან 65 ათასამდე გაიზარდა ანუ 75%-ით, მაშინ როდესაც საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობა დაახლოებით 10%-ით გადიდდა. ამავე წელში საქართველოში ქართველების 9%, ხოლო სომხების ზრდამ 79% შეადგინა. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოში სომხების რაოდენობა უფრო იზრდება, ვიდრე ქართველების.

ამრიგად, XIX საუკუნის I ნახ-ში და განსაკუთრებით 20-იანი წლების დამლევს თბილისში, ბორჩალოში, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში მასობრივად სახდებოდნენ სომხები, რამაც არამარტო რადიკალურად შეცვალა ამ ადმინისტრაციულ ერთეულთა მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა, არამედ გააორკვეცა სომხების ხვედრითი წონა საქ-ოს მთელ მოსახლეობაში 1801 წლის 4.71%-დან – 9,88%-მდე 1839 წელს. თურქეთში სომხების წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერების შედეგად საქ-ში მათი მიგრაცია გაიზარდა. როგორც უკვე აღინიშნა, 1897- 1902 წწ. საქ-ში შემოვიდა დაახლოებით 55 ათასი სომეხი, თბილისში სომხების რაოდენობა გაიზარდა 46,7 ათასიდან 124,9 ათასამდე, რომელთაგან დაახლოებით 68 ათასი ახლად მოსული იყო.

80-იანი წლები სომხებისათვის საბედისწერო გამოდგა. რუსეთში ფინეთიდან კავკასიამდე გაისმოდა ლოზუნგი “რუსეთი რუსებისათვის!” სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა სომხების ათვალისწინება და მათდამი პოლიტიკური უნდობლობა.

1885 წ. დაიხურა 500-მდე სომხური სკოლა, 30 ათასი მოსწავლე ქუჩაში დარჩა. ცარიზმის მოხელეებს გაახსენდათ, რომ ზოგიერთ სომხურ სკოლაში ეკიდა “დიდი სომხეთის” ისტორიული რუკები, ლოცვა-წირვა სომხურად მიმდინარეობდა. ღუსებმა დახურეს “კავკასიის სომხური საქველმოქმედო საზოგადოება” და სხვა საზოგადოებები, მათ შორის წიგნის გამოცემის საზოგადოება, სომხური ჟურნალ-გაზეთები. 1903 წლის 12 ივნისის განკარგულებით სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიას ჩამოერთვა საეკლესიო ქონება. შეზღუდეს მისი თვითმართველობა. სახელმწიფო სამსახურში სომხებს არ ღებულობდნენ. სომხები პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად იყო მიჩნეული.

ამის საპასუხოდ რუსეთსა და კავკასიაში შეიქმნა მთელი რიგი სომხური არალეგალური კომიტეტები, რომელთა ტერორისტულმა საქმიანობამ მძიმე ხასიათი მიიღო. ზოგიერთი რუსი მოხელე სომხური საკითხის გადაჭრას – მათი სეპარატიზმის ალაგმვას სომხების ციმბირში გადასახლებაში ხედავდა.

1905 წელს ცარიზმის მიერ ინსპირირებულ სომეხ-თათართა შეტაკების წინააღმდეგ ხმა აღიმალა ქართველობამ, ქართველმა ინტელიგენციამ. მეფის არმიის ახალგაზრდა ოფიცერმა ლავრენტი ბაბუნაშვილმა, 1905 წელს ბაქოში იმპერიის შავრაზმულ მოხელეთა მიერ ინსპირირებულ სომეხ-თათართა ჟლეტის დროს, თავისი გმირული თავდადებით დაღუპვას გადაარჩინა 170 სომეხი. ძვირად დაუჯდა 22 წლის ქართველ ოფიცერს ლ. ბაბუნაშვილს მეფის რეაქციასთან შერკინება. 1906 წლის 31 იანვარს იმ საგმირო საქმის ჩადენიდან 3 თვის შემდეგ, ტყვეით განგმირული ნახეს ყაზარმასთან ახლოს.

კავკასიის მთავარმართებლად გოლიცინის შემდეგ ი. ვორონცოვ-დაშკოვი დაინიშნა. სომხების წინააღმდეგ ბრძოლა თანდათან შესუსტდა და დიამეტრულად შეიცვალა სომხებისადმი რუს დიდმოხელეთა დამოკიდებულება. სომხურ ეკლესიას ჩამორთმეული მამულები და ქონება დაუბრუნეს. სომხებს დაუწყეს მფარველობა და მოფერება. ცარიზმმა ახლა ქართველები მიიჩნია იმპერიისათვის ყველაზე საშიშ ელემენტად. ქართული ენა, ქართული სკოლა, ეკლესია, ქართული საზოგადოებრიობა ათვალწუნებული იყო და განიცდიდა განსაკუთრებულ დევნას.

ი. ვორონცოვ-დაშკოვმა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით მფარველობის ქვეშ აიყვანა სომეხი ნაციონალისტები და სომხური ბურჟუაზია. რუსეთის მთავრობას სომეხთა მიერ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ამიერკავკასიის ფარგლებში ოცნების შესაძლებლობა ფიქრადაც კი არ მოსდიოდა, ამიტომ როგორც უკვე აღინიშნა, სომეხთა ჩამოსახლება საქართველოში საშიშროებად არ მიაჩნდა, რადგან სამაგიეროდ ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა მცირდებოდა და თანაც საქართველოში რუსეთის უერთგულეს ქვეშევრდომთა რიცხვი უმრავლდებოდათ. თუმცა როდესაც ამიერკავკასიაში ერობის შემოღებაზე მსჯელობა დაიწყო, მაშინ უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ პოლიტიკოსებს ოსმალეთიდან სომეხთა საქ-ში გადმოსახლება, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა “მოხსენება საბჭოთა საქართველოს მთავრობას, 1925 წ. 2 ივლისს” სახალხო განათლება“- 1990წლის 11 ნოემბერი. “... მარტო ფიზიკურად გადარჩენის თვალსაზრისით არ აინტერესებდათ, არამედ გარკვეული პოლიტიკურ-ეროვნული გეგმის, გაბნეული სომხებისათვის ერთიანი მთლიანი ტერიტორიის შესაქმნელად იყო საახალშეო ადგილები არჩეული...”

სომხები სარგებლობდნენ რუს მოქალაქეთა ყველა უფლებით და უპირატესობით. სომხები ითვლებოდნენ საერთოდ რუსეთის და კერძოდ, კავკასიის ყველაზე საიმედო ელემენტად. ეს როლი სომხებს ეამაყებოდათ. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს გრ. ჩალხუშიანის წიგნაკი “რუსეთში სომხური საკითხი და სომეხთა დარბევები”. გრ. ჩალხუშიანი აღნიშნავს, რომ თითქოს სომხების კულტურული როლი რუსეთის იმპერიაში საერთოდ და განსაკუთრებით კავკასიაში მეტად მნიშვნელოვანი იყო. რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ კავკასია წარმოადგენდა იმპერიისთვის არასაიმედო და მტრულად განწყობილ მხარეს. “სომხები, როგორც ყოველთვის, - ნათქვამია გრ. ჩალხუშიანის წიგნაკში, - კავკასიაში წარმოადგენდნენ რუსეთის ინტერესების ერთგულ გამტარებლებს და ხელს უწყობდნენ რუსული მმართველობის დამყარება-განმტკიცებას...”

ყოველ ომში კავკასიაში რუსები პოულობდნენ სომხების მატერიალურ მხარდაჭერას. სომეხთა ამ “დამსახურების” შესახებ არაერთხელ აღინიშნა რუსეთის იმპერატორების რესკრიპტებში.

XIX-XX სს-ის მიჯნაზე ქართველ-სომეხთა ანტაგონიზმს ზოგიერთი ქართველი მკვლევარი და პუბლიცისტი სომხურ ბურჟუაზიასა და ქართველ მემამულეთა წინააღმდეგობით ხსნიდა და ხსნის. როგორც გერონტის ქიქოძემ 1916 წლის სტატიაში “ბრძოლა თუ შეთანხმება” მიუთითებს, ასეთი ახსნა ცალმხრივია. ეს ანტაგონიზმი ბევრად უფრო რთული და ძველიაო. პლ. იოსელიანი აღნიშნავს, რომ გიორგი XII თურმე ხშირად ამბობდა: “ადვილად გამცემი ქვეყნისა სომეხი ერთ გროშზე გაჰყიდის მეფესა და მეფობასა. აქა ან სხვათაცა ქვეყანაში არა აქვს-რა შესატკივარი გულისა, არც კომკი მამა-პაპათა, არც ციხე, არც ხმალი წინაპართა, არც დროშა, არც მატური მეფეთა. დღესაც მოსაცდუნებლად სპარსთა და თურქთა, სადაც არიან გაბნეულნი მათნი რომელნივე, მარადის მოვისყიდით ჯაშუშად სომეხთა უნებურთა და თვით სპარსნი და თურქნი მოისყიდიან ჩემთა სომეხთა.” გ. ქიქოძე მიუთითებდა, რომ “დღეს სომეხები ბევრ რამეს გვედავებიან, უწინარეს ყოვლისა ტერიტორიას, რომელიც თითქოს უპატრონოა. შემდეგ მცხოვრებთა ერთ ნაწილს, რომელსაც თითქოს სადაურობა დაჰკარგვიათ. რასაკვირველია, ეს დავა აიხსნება არა რაღაც ბოროტებით, არამედ სომეხი ერის მდგომარეობით. სომეხობა იმ ხალხთა რიცხვში შედის, რომელნიც მოკლებულნი არიან მთლიან ტერიტორიას. ასეთი ხალხის მდგომარეობა კი, დიდ საფრთხეს წარმოადგენს მეზობლებისათვის. ტერიტორია ის ძალაა, რომელიც ეროვნებას და გარკვეულ სახეს აძლევს. იმ ძალის უქონლობა ერმა უსათუოდ როგორმე უნდა აანაზღაუროს. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაგვარება და გაქრობა მოელოს. ამით აისახება რომ სომეხობა ასე ებლაუჭება რელიგიურ მომენტს, უკანასკნელი თითქოს ტერიტორიის ერთგვარ სანაზღაუროს წარმოადგენს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ რელიგიის მნიშვნელობა თანდათან სუსტდება, ამიტომ საჭირო ხდება მისი შეკავშირება სხვა რომელიმე უფრო გავლენიან ძალასთან. ამას სომეხობაც გრძნობს, მათი ეკლესია პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლის ორგანიზაციად ხდება.”

კათოლიკური ტიპიკონის საკითხებზე “ივერიაში” გამოქვეყნდა აკ. წერეთლის საინტერესო წერილი “მცირე რამ”, რომელშიც დასაბუთებულია ის ჭეშმარიტება, რომ “ქართველ გრიგორიანების სხვა ტომობას ვერც ისტორიული სიმართლე და ვერც საერთაშორისო კანონი ვერ იტყოდა.” წერილში დამაჯერებლად არის ნაჩვენები ქართველ გრიგორიანთა ისტორია. როდესაც ოსმალეთმა საქ-ოს დიდი ნაწილი ჩაიგდო ხელში და მთელ სამცხე-ჯავახეთს ძალით ათათრებდა, მაშინ მხოლოდ მართლმადიდებლობას სდევნიდნენ და არა გრიგორიანებსა და კათოლიკებს, რომელთაც ჰონტქრის კარზე მოსარჩლე ჰყავდათ. ამიტომ უპატრონოდ დარჩენილმა ქართველობამ ზოგმა კათოლიკობა მიიღო, ხოლო ზოგმა გრიგორიანობა და ამით გადაურჩნენ მაჰმადიანობას. “სომეხებმა ისარგებლეს ამით, - განაგრძობს აკ. წერეთელი, - და სარწმუნოება საფუძვლად დაუდეს ეროვნებას, გამართეს სკოლები და ქართველობაზე ხელი ააღებინეს. ამგვარად ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის მცხოვრებლებს და მათთან ერთად თითქმის მთელ სამეცხეთოსაც, ვინც კი არ გამაჰმადიანებულა, სომეხობა დააკისრეს. არა მარტო იმათ, კათოლიკებსაც კი სული

ამოხადეს: ქართველთა კათოლიკობა არ შეიძლებაო, გინდა თუ არა, სომეხთა კათოლიკობა იკისრეთ და გასომხდითო!... წირვა-ლოცვაც კი აუკრძალეს დედაენაზე.”

ქართველთა ერთი ნაწილის გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასვლა მართლაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, მეზობელი თურქი დამპყრობლების ბატონობით და სამხრეთ საქართველოს ჩამოცილებით, ხოლო, მეორე მხრივ სპარსთა, ლეკთა და სხვა მტრების დაუსრულებელი შემოსევებით. ქართველების უპატრონოდ მიტოვებულ ციხე-კოშკებს და ეკლესია-მონასტრებს ყიზილბაშები, ბერძნები და სომხები ეპატრონებოდნენ. გადაგვარებისა და ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენის მიზნით ქართველი მეფეები ხან ისლამს აღიარებდნენ, ხან კი, კათოლიკური ეკლესიის ქვეშევრდომობას. რუსეთის სამხედრო საოკუპაციო რეჟიმის დამყარების შემდეგ კი, როდესაც რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას ერთხანს მფარველობდნენ კიდევ.

ქართველთა გაგრიგორიანება – გასომხების ერთ-ერთი გზა იყო, აგრეთვე, ქართველ მეფეთა მიერ ეჩმიაძინისა და აპატის მონასტრებისათვის გლეხთა შეწირვა. ქართველ თავად-აზნაურთა რამდენიმე გვარის (თუმანიშვილი, ბებუთიშვილი, ბეგთაბეგიშვილი) ზოგიერთი შტო გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარი იყო, რომლებსაც თავიანთი ქართველი ყმები მონოფიზიტურ სარწმუნოებაზე გადაჰყავდათ.

ქართველთა სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასვლა “გასომხება” მტკიცდება XIX საუკუნეში არაერთხელ ჩატარებული მოსახლეობის კამერული აღწერის მასალებით, აგრეთვე XVIII საუკუნის დემოგრაფიული ძეგლებით, ქართველი მკვლევარების – ზ. ჭიჭინაძის, ა. ხანანაშვილის, რ. თოფჩიშვილის, ალ. აბდალაძის და სხვათა შრომებით.

მაგრამ სომხობა მარტო ეკლესიაში როდი ეძებს დაკარგული ტერიტორიის სანაზღაუროს. ეკონომიკური ცხოვრების ასამოძრავებლად გაშლილი ასპარეზია საჭირო. სომხობა ობიექტური პირობების გამო, იძულებულია უცხო მიწა-წყალი ჩაიგდოს ხელში, სადაც კი ეს შესაძლებელია.

პირველი მსოფ. ომის დროს სომხურმა ბურჟუაზიამ მოხალისეთა რაზმების შექმნით, ომის სასარგებლოდ დიდი მატერიალური დახმარების გაღებით თავიდანვე მიიპყრო მაშინდელი მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის ყურადღება და მისი დიდინდობა დაიმსახურა. სომხურმა ბურჟუაზიამ დაშნაკთა პარტიის უშუალო დახმარებით ომის დროს გაითამაშა “ურაპატრიოტიზმის” ყველაზე უფრო ველური ვაკხანალია. სომხური ბურჟუაზია და სომხური ნაციონალისტური პარტიები ვარაუდობდნენ, რომ ომში რუსეთის გამარჯვებით მიიღებდნენ თავისუფალ ეკონომიკურ რაიონს – სომხეთის ავტონომიას და გახდებოდნენ მდგომარეობის ბატონ-პატრონი.ს

რუსეთის მთავრობამ თურქეთში სამხედრო მოქმედების გასაადვილებლად სომხებს აჯანყება ურჩია. ამასთან რუსეთი სომხებს ოსმალეთის სომხეთის განთავისუფლებასა და რუსეთის მფარველობის ქვეშ დამოუკიდებლობას შეჰპირდა. სომხებმა რუსეთის რჩევა ყოველგვარი პოლიტიკური გააზრების გარეშე ადასრულეს, რასაც განრისხებულმა

ოსმალეებმა სომეხი ხალხის მასობრივი ხოცვა-ჟლეტით უპასუხეს. ოსმალეთიდან კავკასიაში სომეხ ჯარისკაცთა რაზმები და ლტოლვილთა დიდი ჯგუფები დაიძრა. რუსეთის ხელშეწყობითა და დახმარებით სომეხებმა დაიკავეს ქართული ტერიტორიები – ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, თბილისის, გორისა და ქუთაისის მაზრებში.

სომეხები სომხეთის აღდგენას ფიქრობდნენ საქართველოში. ამ მიზნით სომეხი ვაჭარ-კომერსანტები თბილისში იძენდნენ დიდ სამოსახლო ადგილებს, ხოლო თბილისის გარეუბნებში სხვადასხვა თაღლითობით ხელში იგდებდნენ ცარიელ ადგილებს და ასახლებდნენ სომეხ ლტოლვილებს.

ბუნებრივია, რომ ქართული პრესა სამართლიანად და ობიექტურად აშუქებდა ლტოლვილთა მდგომარეობას და მათი დიდი რაოდენობით მოზღვაება ქართული ინტერესების საზიანოდ მიაჩნდა. სომხურმა ბურჟუაზიულმა გაზეთმა “კავკასკოე სლოვო“-მ 1915 წლის 23 იანვრის სარედაქციო წერილში “გამოქცეულების საკითხი ფართოდება და ბევრს აწუხებს” გულახდილად აღიარა სომეხთა პოლიტიკური მიზნები საქართველოში. გაზეთი აღნიშნავდა: “ამბობენ, რომ სპარსეთსა და ოსმალეთიდან გამოქცეულნი, უცხოელნი არიან, ასეა თუ არა? ფორმალურად კი, მაგრამ ასებითად არა ...თავის გავლენის მცირე აზიაში რუსეთი ემყარებოდა ჯერ ქართველებს, შემდეგ სომეხებს. ამიტომ არ შეიძლება მათ ისე ვუყუროთ, როგორც უცხოელებს. ისენი სულ ჩვენი მოკავშირენი არიანო”

ქართული ჟურნალი “კლდე” (რედაქტორი რ. გაბაშვილი) “კავკასკოე სლოვოს” ეკამათებოდა და წერდა, რომ სპარსეთიდან გამოქცეული სომეხობა მთლიანად ღარიბ-ღატაკებისგან შედგებოდა და სომეხების შეეძლებული ნაწილი ადგილიდან არ დაძრულაო.

XX საუკუნის 10-იან წლებში საქ-ში მცხოვრებ სომეხთა ანტიქართული იდეოლოგია და პრაქტიკა კიდევ უფრო გაძლიერდა. სომეხი შოვინისტები ებრძოდნენ ქართულ კულტურას, განათლებას, ამახინჯებდნენ საქართველოს ისტორიას. თავიანთ რუს კოლეგებთან ერთად ცდილობდნენ ქართული ენის დამცირებას და ამოძირკვას. ჟურნალმა “კლდე” 1912 წლის მე-6 ნომერში გამოაქვეყნა კორესპონდენცია, რომელშიც მოთხრობილი იყო აჭარაში სახალხო სწავლა – განათლების მდგომარეობის შესახებ. სამოსწავლო სკოლის უმცროსი აგენტი ვინმე ტერ გასპარიანცი ქართული სკოლიდან ქართველ მასწავლებლებს ითხოვდა და მათ მაგიერ ქართველების მასწავლებლად ყარაბაღელ და ერევნელ სომეხებს იწვევდა. იგი ქართველებთან საუბარს ყოველთვის იწყებდა შეკითხვით: “რომელი ეროვნებისა ხართ?”-ო. ტერ გასპარიანცის თვითნებობა იმდენად ნათელი იყო, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით იგი სამსახურიდან დაითხოვეს.

სომხური და ქართული ეროვნული ისტორიული ცხოვრების გაყალბებისა და გაბიაზურების ბრძოლაში ჩაებნენ ერიცოვები, ხუდაბაშოვები, ქიშმიშოვები, სუმბატიანცები და სხვა. მათი აზრით, ქრისტიანობის გავრცელება, ხუცური ანზნის გამოგონება, ბაგრატიონთა მეფობა და მათი ძლევამოსილება, ქართული საეკლესიო

ხუროთმოძღვრება თურმე სულ სომხების წყალობებია, ხოლო თვით საქართველო დიდი სომხეთის ნაწილი.

ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა ფშაველამ, იაკობ გოგებაშვილმა და სხვებმა თავიანთ პუბლიკაციებში ამხილეს სომეხ ფალსიფიკატორთა ეს იდეოლოგიური დივერსია და მათი უღირსი საქციელი. ი. ჭავჭავაძემ 1899 წლის “ივერიის” 64-76 ნომრებში დაბეჭდა, ხოლო შემდეგ ქართულ და რუსულ ენებზე ცალკე ბროშურად გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიის დარგში საკმაოდ გახმაურებული ნაშრომი “ქვათა დაღადი”, რომელიც მიმართული იყო ისტორიის გამყალბებელთა სამხილებლად, იმათ მიმართ, ვინც ფაქტობრივად ძირს უთხრიდა სომეხი და ქართველი ერების ისტორიულ ურთიერთობებს.

სომხები ფარულად თუ აშკარად ებრძოდნენ ქართულ ენას, რისი ნათელი მაგალითიცაა გორში აკ. წერეთლის ლექციის “ვეფხისტყაოსნის შესახებ” ჩაშლის მცდელობა. შოვინისტი სომხები საქ-ში კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის მხარდაჭერით თავიანთ “ეროვნულ საქმეებს აგვარებდნენ”. 1913 წლის 13 ოქტომბერს თბილისში მათ დიდი ზეიმით აღნიშნეს სომხური ანბანის შემქმნელის მესპორ მამტოცის 1500 წლის უიბილე და სომხური ბეჭდვითი სიტყვის 400 წლის დღესასწაული.

სომეხი მეცნიერის აზრით, ქართული ენა სომხური ენის ძლიერ გავლენას განიცდის და მისგან ისესხა კულტურული ტერმინოლოგიის მთელი რიგი სიტყვები. ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა მატ რასმა, რომელიც ქართულ ენას სწავლობდა სომხური ენის შემდეგ გამოთქვა აზრი, რომ სომხური ენა, ჯერ კიდევ ვანის წარწერების პერიოდში ქართული ენისაგან ძლიერ გავლენას განიცდიდა. სომხურმა ენამ ქართული ენისაგან არამარტო ისესხა მთელი რიგი სიტყვები, არამედ გრამატიკაც ქართულ ენას მიუსადაგა.

ამრიგად, ნაშრომში მოყვანილი მაგალითები თუ ფაქტები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს სომხების შოვინისტურ და არაკეთილმეზობლურ დამოკიდებულებაში, ხოლო რაც შეეხება XVIII-XIX სს-ში საქართველოში სომხური მოსახლეობის მომრავლებას, ბუნებრივი დემოგრაფიული პროცესი როდი იყო, არამედ იგი იმპერიის ხელისუფლების მიერ საქ-ში ოსმალეთიდან სომეხთა მასობრივი გადმოსახლების შედეგი იყო და ქართველი ერის ნების საწინააღმდეგოდ ხდებოდა. გადმოსახლებულმა სომხობამ იმპერიის ხელისუფლების ხელშეწყობით საქართველოს ეკონომიკური სადავეები ხელში ჩაიგდო. მათ ფეხი მტკიცედ მოიკიდეს, სტუმრობა აღარ იკმარეს და საქართველოს დაპატრონება მოინდომეს. სომეხ დიდვაჭართა ეს მისწრაფება კარგად გამოიყენა ცარიზმმა, რომელიც ადგილობრივ სომხურ ბურჟუაზიას ხელს იმიტომ უმართავდა, რომ ქართველებისა და სომხების წაკიდებით პირველ რიგში ქართველთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გაეტეხა, ხოლო შემდეგ სომხებისათვის “მიეხედა.”

XIX საუკუნეში საქართველოში ოსმალეთიდან სომეხთა მასობრივი ორგანიზაციული გადმოსახლება, ხოლო შემდეგ უწყვეტი სტიქიური მიგრაცია განპირობებული იყო იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ძვრებით,

რომელიც მოჰყვა მეფის რუსეთთან საქ-ოს მიერთებასა და ბატონყმობის გადავარდნას.

ქართულ-სომხური ურთიერთობა 20-იანი წლებიდან დღემდე

ნატო ბალახაძე

სომხეთი სადაც თავს იყრიდა მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო გზები, წარმოადგენდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამოყრდენთა გამანარგურებელი ომებისა და მათი ბატონობის არენას, რის გამოც სომხეთა უდიდესი ნაწილი იძულებული იყო მშობლიური მხარე დაეტოვებინა და მთელს მსოფლიოში მიმოფანტულიყო. საქართველო სომხეთისათვის ყველაზე უფრო მახლობელი ქვეყანა იყო. აქ არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი, არც პოლიტიკური დევნა არ ყოფილა და თანაც, საქართველოში შემოხიზნულ სომხებს იმედი ჰქონდათ, რომ თუ გარემოება მათთვის ხელსაყრელად შეიცვლებოდა, აქედან სამშობლოში ადვილად დაბრუნდებოდნენ.

თურქების მიერ აღმოსავლეთ და დასავლეთ სომხეთში, თურქეთის ცენტრალურ პროვინციებში, კილიკიაში, იზბირში მასობრივი რბევის შედეგად, 350 ათასი სომეხი რუსეთის იმპერიაში შემოვიდა, აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში დასახლდა. სომხებმა დაიკავეს ქართული ტერიტორიები – ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს(ალავერდი, შულავერი, სადახლო), თბილისის, გორის, ქუთაისის მაზრები. იმ დროიდან მოყოლებული ანტიქართული იდეოლოგიით და სომხური შოვინიზმით გამსჭვალულნი საქართველოს ტერიტორიაზე სომხეთის აღდგენას ცდილობდნენ.

მტრული, აგრესიული დამოკიდებულება ქართული ენის, კულტურისადმი, ამავდროულად ტერიტორიული პრეტენზიები, მკაფიოდ გამოაშკარავდა მას შემდეგ, რაც საქართველოში მენშევიკებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. საქართველოს სომხეთმაც მიბაძა. 1918 წლის 28 მაისს სომეხთა ცენტრალურმა ეროვნულმა საბჭომ, რომლის სათავეშიც დაშნაკები იდგნენ, სომხეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა. სომხეთის მთავრობის შექმნამდე, სომეხთა ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 1 ივნისს თბილისში გამოაქვეყნა დეკლარაცია, სადაც თავს სომხური ოლქების უზენაეს და ერთადერთ ხელისუფლებად მიიჩნევდა. ივლისის დასაწყისში იოვანე ქაჯაზუნის მეთაურობით შეიქმნა სომხეთის მთავრობა, რომელიც შემდეგ ეროვნულ საბჭოსთან ერთად ერევანში გადავიდა. რადგან რუსეთმა ამიერკავკასია დატოვა, სომეხმა პოლიტიკოსებმა ახალი საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავება დაიწყეს. ისინი ორიენტირებულნი იყვნენ ინგლისზე. სწორედ ანგლოფილური საგარეო-პოლიტიკური კურსის შერჩევით, სომეხები თურქეთის საფრთხის თავიდან აცილებასა და საქართველოს ტერიტორიაზე „ დიდი სომხეთის” აღდგენას ცდილობდნენ. იმ დროს,-

წერდა მიხეილ ჯავახიშვილი, სტამბოლში დაიბეჭდა სომხეთის, ვითომც ისტორიულ-ფანტასტიკური რუკა, რომელიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული და სამსუნის ოდნავ აღმოსავლეთით შავ ზღვამდე აღწევს და სელევკიის ჩრდილოეთით მდებარე ადგილიდან ქ. არდაველის ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალი გზით ამ სრულიადი სომხეთის საზღვარი კასპიის ზღვასთან თავდება. ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და ტფილისიც კი, ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა, ვიწრო ზოლიდა აქვს მიკუთვნებული.”

დაშნაკურმა სომხეთმა საქართველოს წინააღმდეგ აგრესიული პოლიტიკის განხორციელება დაიწყო. ამ აგრესიის დადასტურება იყო სომხების მიერ ძეგვის რკინიგზის ხიდის აფეთქება, „დიდი სომხეთის” რუკების მასობრივი ბეჭდვა-გავრცელება. დაშნაკთა აგიტაცია სულ უფრო შეუწყნარებელ ხასიათს ღებულობდა. სომხურ გაზეთებში „ორიზონში” და „ამბტავორში”, იბეჭდებოდა ანტიქართული წერილები, რომლებშიც აშკარად მოუწოდებდნენ საქართველოში მცხოვრებ სომხებს აჯანყებისაკენ: „შეაჩერეთ ლტოლვილ სომეხთა ჟლეტა!..”, „თქვენი ხელები რასვრილია სომეხთა სისხლში!..”

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მტავრობა იცავდა 1918 წლის 26 მაისის დეკლარაციის მე-5 მუხლს, რომელშიც ნათქვამი იყო: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.” დემოკრატიული საქართველოს არსებობის პერიოდში საგანგებო ყურადღება ეთმობოდა საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა, მათ შორის სომხების ცხოვრების სოციალურ და კულტურულ სფეროებს. საკმარისია ითქვას, რომ ამ პერიოდში 81 სომხური, 60 რუსული, 31 აზერბაიჯანული სკოლა ფუნქციონირებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობის დებულება ითვალისწინებდა იმას, რომ საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მკვიდრი, მცხოვრები არის ამ ქვეყნის მოქალაქე. მკვიდრად კი ითვლებოდა ის, ვიც მიწერილი იყო ტერიტორიის რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის 19 ივლისამდე (პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე). სომხურ ეროვნულ საბჭოს მიაჩნდა, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ თურქეთიდან და ირანიდან საქართველოში შემოსული ასიათასობით ლტოლვილი სომეხი საქართველოს მოქალაქეებად უნდა ეცნოთ, რათა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე სამუდამოდ დამკვიდრებულიყვნენ.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 300 ათასი ლტოლვილი შემოვიდა, მათ შორის ნახევარზე მეტი სომეხი იყო. უამრავი ლტოლვილი დასახლდა კახეთში. საქართველოში ჩამოსახლებულმა სომეხთა დიდმა რაოდენობამ დაარღვია დემოგრაფიული წონასწორობა. 1918 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდა 418651 ქართველი, სომეხი -139939; ქალაქებში: თბილისში 62337 ქართველი, სომეხი_ 83977; ახალქალაქში 412 ქართველი, სომეხი- 4518; ახალციხეში 1559 ქართველი, სომეხი_ 7077.

დაშნაკთა მიზანი იყო სომეხ ლტოლვილთა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განსახლება. იმ დროისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სომეხ ლტოლვილთა სრულ მატერიალურ უზრუნველყოფას ვერ შეძლებდა, რადგან სამცხე-ჯავახეთის 60 ათას ქართველ ლტოლვილთაგან ბაკურიანის ტყეებში ყოველდღიურად ასობით ადამიანი იღუპებოდა. მაგრამ დაშნაკებს ლტოლვილთა მდგომარეობა კი არ აწუხებდათ, არამედ „დიდი სომხეთის“ იდეით იყვნენ შეპტრობილნი.

1918 წლის 7 დეკემბერს საქართველოსათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა სომხეთის თავდასხმა. ქართული მხარე ომისთვის არც პოლიტიკური და არც სამხედრო თვალსაზრისით მზად არ იყო. სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით, სომხებს იმედი ჰქონდათ, რომ მიიტაცებდნენ მათთვის სასურველ ტერიტორიებს. საქართველოს მთავრობამ მობილიზაცია გამოაცხადა; ქართული ჯარის სარდლად დაინიშნა გენერალი მაზნიაშვილი. სახალხო გვარდიამ და ეროვნულმა ჯარმა სომხეთის ჯარი სასტიკად დაამარცხა. გათავისუფლებულ იქნა შულავერი და სომხების მიერ დაკავებული სხვა პუნქტები. დაშნაკური სომხეთი სრული განადგურების პირას აღმოჩნდა. ამ მძიმე ვითარებაში მოულოდნელად ინგლისი ჩაერია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა, შეწყვიტა საომარი მოქმედებები და ეცნო ახალი საზღვარი სომხეთთან. მოკავშირეებმა სომხეთს მიაკუთვნეს ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი დისის-ჯელალ-ოღლამდე. გარდა ამისა, იქმნებოდა ლორეს ნეიტრალური ზონა, რომლის ჩრდილოეთი ნაწილიც რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში. მაშინდელი ერთ-ერთი სომხური გაზეთი „ნორ ჰორიზონი“ სარედაქციო წერილში „სომეხ-ქართველთა დავა საზღვრის ხაზასთვის“ აღნიშნავდა: „ჩვენ ვერაფერს ვპოულობთ ისეთს, რასაც შეიძლება გამცემლობა და მუხანათური თავდასხმა ვუწოდოთ. სომხეთის რესპუბლიკა ამით მხოლოდ მიეშველა თავის ჩაგრულ და შევიწროვებულ ხალხს, დაიბრუნა თავისი უსამართლოდ წართმეული ტერიტორია.“

საქართველომ სომხეთთან ომის შემდეგ მიიღო დეკრეტი თბილისში მოსახლეობის რეგულირების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს 1920 წლის სექტემბრის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკიდან გადაასახლეს უცხო სახელმწიფოს 400 მოქალაქე, რომლებსაც საქართველოში ცხოვრების ნებართვა არ ჰქონდათ და ეწეოდნენ უცხოური ვალუტითა და დეფიციტური საქონლით სპეკულაციას.

1920 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში საქართველომ დაიბრუნა ლორის ნეიტრალური ზონა, რომელსაც სომხეთის დაშნაკური მთავრობაც დაეთანხმა.

1921 წლის თებერვალში გასაბჭოებული სომხეთი, რომელიც მტკიცედ ადგა დაშნაკური სომხეთის აგრესიულ გზას, ვერაგულად თავს დაესხა საქართველოს. საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის 15 თებერვლის სხდომაზე, მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „სომხეთი კვლავ ვერაგულად დაგვესხა თავს, მან კვლავ ააფრიალა სისხლისა და ომის დროშა და ჩუმად, მუხანათურად შემოიჭრა ჩვენს საზღვრებში. შემოიჭრა იმავე გზით, იმავე წესით, როგორითაც მან ჩაიდინა ეს ამ ორი წლის წინათ.“ დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღინიშნა, რომ „საბჭოთა სომხეთის ამ მუხანათურ თავდასხმაში უმთავრეს ძალას

წარმოადგენს ბაქოდამ გამოსული რუსთა მხედრობა, რომელიც „იმპერიალისტურ“ ძალად მოევიდნა ამიერკავკასიის ერებს.”

საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება პირველივე დღეებიდან შეუდგა საქართველოს დამოუკიდებლობის თანდათანობით გაუქმებას. ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა თავისი ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი. ქართული მიწები, თურქეთის გარდა, გადაეცათ მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებს. რუსეთმა თურქეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს დაუთმო საქართველოს ტერიტორიის 19491 კვ. კილომეტრიც.

სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ არ ცხრებოდა, ისინი მოითხოვდნენ, რომ ახალქალაქის მაზრა სომხეთის შემადგენლობაში შესულიყო თანაც, ამ მაზრაში უნდა ჩაერთოთ ორი სომხური სოფელი: მოლისი და ყიზილ-კილისი. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის შინა საზღვრების განმსაზღვრელმა კომისიამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა კავბიუროს მიაწოდო. 1921 წლის 7 ივლისს ცკ-ის კავბიურომ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის მონაწილეობით განიხილა საქართველოსა და სომხეთის შიდა საზღვრების საკითხი. კავბიურომ დაადგინა, რომ ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა შეუერთდეს სომხეთს, რაც შეეხება ახალქალაქის საკითხს, იგი განსახილველად გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ახალქალაქის მაზრის სომხეთისათვის გადაცემის საკითხის განხილვისას პოლიტიკურმა დაადგინა: „ პოლიტიკური მოსაზრებებისა და იმის საფუძველზე, რომ ახალქალაქის რაიონი ეკონომიკურად თბილისთან არის დამოკიდებული, ამხანაგი სომხების წინადადება მიუღებლად ჩაითვალოს.”

1923 წელს საბჭოთა სომხეთის ხელისუფლებამ ახალი თაღლითური პროექტი შეიმუშავა. ამ პროექტის მიხედვით ახალქალაქის მაზრის უდიდესი ნაწილი ბორჩალოს მაზრასთან უნდა ყოფილიყო შეერთებული და ახალი სომხური ადმინისტრაციული ერთეული შექმნილიყო. საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარიატმა ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების მცხოვრებთა აზრისა და ეთნოგრაფიულ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით ამ გეგმის განხორციელება შეუძლებლად სცნო, თუმცა ამის შემდეგაც, სომხების მიერ წამოყენებულ იქნა საქართველოს ყარაი-შირაქის ველის სომხებით დასახლების პროექტი.

საქართველოში მცხოვრებ სომხებს პრეტენზიები ჰქონდათ არა მარტო ჯავახეთზე, არამედ თვით თბილისზეც კი. აი, ერთი სახასიათო მაგალითი: აკაკი ანდრონიკაშვილი იგონებს, რომ „1926 წელს, თბილისის კონსერვატორიაში ერთ გაკვეთილზე სომეხმა სტუდენტმა კზარტმინმა, უადგილოდ და გამომწვევად განაცხადა, რომ თბილისი სომხების აშენებულია და, მაშასადამე, მათ ეკუთვნით. ჩემს რეპლიკაზე საქარტველოში და, კერძოდ, თბილისში სომხები მხოლოდ მე-15 საუკუნეში ჩამოსახლდნენ თურქეთიდან გამოძევებულნი-მეთქი, კზარტმინმა მიპასუხა:

„_ თუ მაგრეა, სულ წინათ თბილისში მარტო მგლები და ტურები ცხოვრობდნენ, მაშ, იმათი ყოფილა თბილისი!..”

გასაბჭოების შემდეგ საქართველოში სომხების ჩამოსახლება კვლავაც გრძელდებოდა. 1922 წლის მონაცემებით, თბილისელი სომხების 39.3% საქართველოს გარეთ იყო

დაბადებული. 1939-1958 წლებში მხოლოდ 26 ათასამდე სომეხი ჩამოსახლდა. მაგრამ 50-იანი წლებიდან ვითარება მკვეთრად შეიცვალა. სომხების მეტი რაოდენობა გადის რესპუბლიკიდან, ვიდრე შემოდის, რის შედეგადაც მათი ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში თანდათან მცირდება. ეს გამოწვეული იყო სომხეთის მრეწველობის ზრდით, რამაც განაპირობა სომხური მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სომხეთში გადასახლება.

სომხები 1959 წელს საქართველოს მოსახლეობის 11,0%-ს შეადგენდნენ, 1970 წელს 9,5%, 1979 წელს 9,0%; 1989 წელს 8,1%; ადგილი აქვს აგრეთვე სომხების ასიმილაციას ქართველებთან, რასაც ხელს უწყობს შერეული ქორწინებანი. ასიმილაციას განიცდიან, უმთავრესად, შუა საუკუნეებში საქართველოს სოფლებში ჩამოსახლებული სომხები. 1995-1996 წლის მონაცემებით საქართველოდან წავიდა 6309 სომეხი, აქედან რუსეთში 4310(68,13%), სომხეთში 1389(22,01%). ამავე წლებში საქართველოში ჩამოვიდა 680 სომეხი, აქედან რუსეთიდან -247, სომხეთიდან -318.

საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოში მცხოვრები სომხები გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. სამცხე-ჯავახეთს, ყოველთვის, ხალხის დაუკითხავად ზემოდან დანიშნული ხელმძღვანელი მუშაკები განაგებდნენ. 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ახალქალაქისა და ნინოწმინდის კომუნისტური პარტიის პირველი მდივნები სომხები უნდა ყოფილიყვნენ. ადგილებზე ხელმძღვანელებად და უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად, მხოლოდ სომხებს ირჩევდნენ. ადგილობრივი ქართველებიდან უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის არცერთი შემთხვევა არ ყოფილა. ზოგჯერ დეპუტატებად ირჩევდნენ ისეთებსაც, რომლებსაც რეალურად არაფრის გაკეთება შეეძლოთ. მაგალითად, ახალქალაქის რაიონის ოკამის ქართულ საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ XI უმაღლეს საბჭოს დეპუტატად აირჩიეს იმავე რაიონის სხვა საარჩევნო ოლქში შემავალი სოფლის(დილისკა) კოლმეურნე, მწველავი ქალი, რომელმაც სომხურის გარდა, სხვა ენა არ იცოდა.

კომუნისტების დროს ახალქალაქის ოლქის ადგილობრივი გაზეთების სახელწოდებები, წარწერები მაღაზიებზე, საზოგადოებრივი დაწესებულებების შენობებზე ჯერ სომხურად იყო, ხოლო შემდეგ ქართულად. სომეხმა მოსახლეობამ შეცვალა და გარგაქმნა ძველი ქართული ტოპონიმები, მაგალითად, ბოგდანოვკას ადრე ერქვა ფარავანი, რადიონოვკას_ თავფარავანი, ეფრემოვკას_ გოლი, კატნატუს_ ბალახოვანი, ყაურმას- გორვაკე...მიუხედავად იმისა, რომ სომეხი მოსახლეობა ქვემო ქართლში ადრეც სახლობდა, XIX საუკუნის 20-იან წლებში თეთრიწყაროს მიწა-წყალზე უცხოური ტომის ხალხი არ ცხოვრობდა. ამ ისტორიულ ჭეშმარიტებას ადასტურებს დავით მოურავისა და მოურავ ბაქრაძის ნაამბობი: „ სამშვილდეს მთლად ქართული სოფლები იყო. ამ სოფელთა მეზატონენიც ორბელიანები იყვნენ, ზოგნი ბარათოვები და მათთან სხვები. ყველა ამ სოფლის ქართველნი დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ, მტერი მუსრს ავლებდა, შველა არსით იყო. გლახკაცობა უპატრონოდ დარჩა. მტერი გურჯებს სიკვდილით ემუქრებოდა,. ეს ყველამ კარგად იცოდა, ამიტომ ზოგ სოფელში ქართველთ თავი სომხად აცნობეს და ამით გადარჩნენ სიკვდილს.”

ქართულფუმიანი გვარ-სახელი ბაინდურაშვილი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სომხურ ეთნოსს მიეკუთვნება და აღწერის დავთარში გრაფის დასწვრივ „ტომში ჩამომავლობა“ სომხად დაფიქსირდა. ასეთივე ბედი ეწიათ ქართულ გვარებს: მღებრიშვილი(მღებროვი), მეზაღიშვილი(მეზაღოვი), სააკაძე(სააკოვი), მამულაშვილი(მამულოვი)....

ეთნოგრაფ ნ. ვოლკოვას 1976 წელს დმანისის რაიონის სოფელ ვარდისუბანში ასეთი საინტერესო მასალა აქვს მოპოვებული; „ დმანისის რაიონის სოფელ ვარდისუბანში ცხოვრობენ ქართველები და სომხები. სომხებს აქვთ სომხური გვარები(მინასიანი, სარქისიანი). პასპორტებშიც ეროვნებად სომეხი უწერიან. მათ სომხური ენა არ იციან. მათი მშობლიური ენა ქართულია. კულტურა, ტრადიციები დაკავშირებულია ქართულთან და არა სომხურთან. თითქოს სომხების ქართველებთან ასიმილაციას უნდა ჰქონოდა ადგილი. გამოკითხვით გამოირკვა, რომ აქ მცხოვრები სომხური გვარისანი, წარმოშობით ქართველებია, რომლებიც ასი წლის წინათ გადმოსახლდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან. მაგალითად, მაქაროვების წინაპრები გორიდან იყვნენ. მათი ქართული გვარი იყო მენაბდიშვილი. ვარდისუბნის მცხოვრებთა გადმოცემით, აქ დასახლებულ ქართველებს ადგილობრივმა სომეხმა-მემამულემ, რომელსაც ეს მიწები ეკუთვნოდა, სომხური გვარი მისცა.”

80-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა იმპერიის მსხვერვისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის ისტორიულ პროცესთან ერთად, ზოგიერთმა გასომხებულმა ქართველმა დაიწყო საკუთარი წარმომავლობის დადგენა-ძიება. 1988-1997 წლებში თავისი ნამდვილი გვარი დაიბრუნა ქვემო ქართლის ასობით გასომხებულმა ქართველმა.

ისტორიული ფაქტები, რომლებიც ქართულ-სომხური ურთიერთობის ძირითად ასპექტებს ასახავენ, სამწუხაროდ ეწინააღმდეგებიან ლეგენდას, ქართველთა და სომეხთა მრავალსაუკუნოვანი ძმობის შესახებ. ლეგენდა ლეგენდად რჩება და ისტორიულ სინამდვილეს ვერ უძლებს. ამის მაგალითს უახლოესი ისტორიაც იძლევა: დიდი და თანაც უპატიებელი შეცდომა იყო ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ის განსაკუთრებული სისასტიკე, რომელიც ქართველების მიმართ ადგილობრივმა სომხურმა დაჯგუფებებმა გამოავლინეს. 1993 წლის მარტის პირველ რიცხვებში, სომხური ორგანიზაციების „კრუნკისა“ და „ მამტოცის“ ინიციატივით შეიქმნა მარშალ ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა გენოციდში. ბატალიონისათვის ბაგრამიანის სახელის მიკუთვნება შემთხვევითი არ არის. აი, რას ამბობს ისტორია: 50-იანი წლების შუა ხანებში ბათუმში შემოვიდა უცხოეთიდან რეპატრირებული სომხებით დატვირთული გემი. სომხების სამშობლოში დაბრუნების ინიციატორები იყვნენ მიქოიანი და ბაგრამიანი. საბჭოთა სომხეთის მაშინდელმა მთავრობამ სომხეთში საცხოვრებლად რეპატრირებულთა შორის შეარჩია ყველაზე ინტელიგენტური მცირე ნაწილი. ხოლო უმრავლესობა ნ. ხრუმწოვისა და ი. მიქოიანის წყალობით, პოლიტიკური მოსაზრების გამო, აფხაზეთში დაასახლეს. აფხაზ სეპარატისტებს სწორედ 50-იან წლებში ჩამოსახლებული სომხობა ედგა მხარში.

ბაგრამიანის სახელობის ბატალიონმა მიწასთან გაასწორა კოდორის ხეობაში არსებული სოფლები: ამტყელი, ჭაპალი, ქვემო ლათა, ზემო ლათა და სხვა. ისიც უნდა ითქვას, რომ აფხაზი სეპარატისტები და მათი ერთგული „ბოევიკები“ ურჩ სომხებს ხვრეტდნენ. მათ გაგრამი დახვრიტეს მანუკიანების ოჯახი. მოკლეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. სააკიანი.

აფხაზმა სეპარატისტებმა და მათ მიერ დაქირავებულმა მკვლელებმა, მათ შორის აფხაზეთში მცხოვრებმა სომხებმა, მხოლოდ ეროვნული ნიშნით დაწვეს 7000 ქართველი, მათ შორის 100-ზე მეტი ხელოვნების მუშაკი, 50-ზე მეტი მედიცინის მუშაკი, 200-ზე მეტი პედაგოგი. გადაწვეს ქართველთა კუთვნილი ათასობით სახლი, გაიტანეს 11 მილიარდი მანეთის 1923 ვაგონი ტვირთი. დაბა ლესელიძეში აწამეს და ელექტრობოძე ჩამოახრჩვეს 50-ზე მეტი ქართველი, მათი მოჭრილი თავებით კი სომხები ფეხბურთს თამაშობდნენ. დაქირავებულმა „ბოევიკებმა“ სოფელ ახალდაბაში მოსახლეობისა და ახლობლების თვალწინ საჯაროდ გააუპატიურეს 25 გოგონა. სომხების აფხაზეთში დანაშაულებრივი ქმედებების დამადასტურებელი ათასობით დოკუმენტი ინახება რესპუბლიკის პროკურატურის საგამომიებო ტომებში. ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი დღესაც არსებობს, მისი დისლოკაციის ადგილია დაბა განთიადი.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე დიდ გავლენას ახდენს გეოპოლიტიკური და საერთაშორისო ფაქტორები. ქართულ-სომხური ურთიერთობის პერსპექტივებზე მსჯელობისას, როგორც სომხურ, ისე ქართულ წრებში, აქცენტი კეთდება ამ ორი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტირზე. საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს უალტერნატივო თანამშრომლობა დასავლეთთან, ევროპულ სტრუქტურებსა და ნატოსთან, მაშინ როდესაც სომხეთი რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეა, როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ, ასევე სამხედრო სფეროში. რუსეთსა და სომხეთს შორის დაიდო 30-ზე მეტი სამხედრო ხელშეკრულება, მათ შორისაა ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც რუსეთისა და სომხეთის ჯარების შეიარაღებულ კოალიციას ითვალისწინებს. საქართველო და სომხეთი აღმოჩნდნენ გეოსტრატეგიული ბარიერის საწინააღმდეგო მხარეებზე. და მაინც, გახდება თუ არა რეგიონის სამომავლი გეოპოლიტიკური მდგომარეობა ქართულ-სომხური ურთიერთობის ძირითადი მიმართულების განმსაზღვრელი?

კავკასიის რეგიონი, როგორც გეოპოლიტიკური და ეკონომიკური სივრცე, აშშ-ის სტრატეგიულ ინტერესთა სივრცეს განეკუთვნება. ამან დააჩქარა გეოპოლიტიკური ამოცანების განხორციელების პროცესი, რომელშიც ჩართულნი არიან რუსეთი, თურქეთი, ირანი. აშშ-ს წინაშე დგას ურთულესი ამოცანა- მიაღწიოს თანამშრომლობას რუსეთთან და ირანთან. რეგიონში უპირატესი პოზიციების დაკავებით, ის შეძლებს გააკონტროლოს კასპიის ნავთობის უდიდესი ნაწილი. ამ მიზნით მან მიიღო გარაწყვეტილება მხარი დაუჭიროს თურქეთს, საკუთარი მიზნების განხორციელებაში _ შექმნას ფართო პროთურქული პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცე. იგორ მურადიანის თქმით; „უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში თურქეთის მცდელობა რეალობად ექცია საკუთარი გეგმები. წარუმატებელი გამოდგა. მიღწეული შედეგი

საკმაოდ მცირეა, რაც განპირობებულია უცილობელი ინვესტიციური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების არქონით. მაგრამ უმთავრეს ფაქტორს, რამაც თურქეთის გეგმის ჩავარდნა გამოიწვია, წარმოადგენს აშშ-ს მხრიდან რეალური მხარდაჭერის უქონლობა. ეს ფაქტი, ნაწილობრივ, განპირობებული იყო შიშით_ არ შექმნილიყო „დიდი თურქეთის იმპერია“. ისლამური რადიკალების მხრიდან ამერიკაში განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ, რამაც ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემები წარმოშვა, აშშ-მ მიიღო გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს თურქეთს, როგორც უალტერნატივო მოკავშირეს მთელს ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ ევრაზიაში. თურქეთი აქტიურად მოქმედებს, რათა განახორციელოს სამხედრო დასწრება საქართველოსა და აზერბაიჯანში. ის აშშ-თან ერთად ცდილობს ნატოს პროგრამის ჩარჩოებში მოთავსდეს. როგორც ცნობილია თურქეთმა და აზერბაიჯანმა ვერ შეძლეს შეექმნათ ერთიანი, თურქულენოვანი ფრონტი სომხეთის წინააღმდეგ. სომხეთი არის ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის მოკავშირე, აგრეთვე კარგი დამოკიდებულება აქვს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი პარტნიორი თურქეთისა და აზერბაიჯანისთვის შეიძლება იყოს საქართველო.”

ამჟამად საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ მისი თურქეთთან თანამშრომლობა ზიანს არ მოუტანს სომხეთს. ვიკენ ჩეტერიანი თვლის, რომ რეგიონში ძირითადად, დესტაბილიზაციის შექმნის მიზეზი იქნება თურქეთი. სომხეთი დაიწყებს ფიქრს რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობის ახალი ეტაპის განვითარებაზე. თვით რუსეთის მცდელობა, ზეწოლა მოახდინოს პროთურქული პოლიტიკის განვითარებაზე, განწირულია მარცხისთვის პოლიტიკური ბერკეტების უქონლობის გამო. ჩეტერიანი არ გამორიცხავს ირანისა და სომხეთის სამხედრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, რადგან ირანი ისევე აღიქვამს სამხრეთ კავკასიაში თურქეთის ფაქტორის გაძლიერებას, როგორც სომხეთი.

არსებობს ინფორმაცია, რომ არაბული ქვეყნები სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებს დიდი ყურადღებით აკვირდებიან. პანთურქული იდეები თურქეთში სულ უფრო პოპულარული ხდება. პანთურქულთან ერთად განვითარდა ნეოსომანური იდეები, რაც გულისხმობს თურქეთის სტრატეგიაში იმ ისლამური და არაისლამური ქვეყნების ჩართვას, რომლებიც ადრე „ოსმანური იმპერიის“ საზღვრებში შედიოდნენ. ისეთი ქვეყნები, როგორცაა ალბანეთი, ბოსნია, მაკედონია, საქართველო ანკარაში განიხილება, როგორც მისი გავლენის „ზონები“. იგორ მურადიანის აზრით: „რადგან საქართველოში არის სუსტი ადმინისტრაცია, მოშლილი ეკონომიკა, ამიტომაცაა დაინტერესებული თურქეთის მხრიდან ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერით. ცდილობს რა რუსეთის დაქვემდებარებიდან თავის დახსნას, ის აუცილებლად აღმოჩნდება თურქეთის დაქვემდებარებაში. აშშ-ს მცდელობა, დაარეგულიროს თურქეთ-სომხეთის ურთიერთობები, მარხისთვისაა განწირული, საქმე არა მარტო ისტორიულ პრობლემაშია. თურქეთი შემდეგშიც მხარს დაუჭერს აზერბაიჯანს, რომლის პოლიტიკაც ძირითადი ზღუდეა თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. სამხრეთ კავკასია ერთვება ახალ, ხანგრძლივ სამხედრო წინააღმდეგობებში, რაც დააჩქარებს სამხედრო პოლიტიკური ბლოკების შექმნას, მაგრამ

საქართველო-სომხეთს შორის ურთიერთობის გართულება შესაძლოა გამოწვეულ იყოს არა ახალი ბლოკების შექმნით, არამედ საქართველოში თურქეთის სამხედრო დასწრების შედეგად.”

თურქეთმა და საქართველომ სერიოზულად მოკიდეს ხელი რკინიგზის მაგისტრალის _ ყარსი-ახალქალაქის მშენებლობას. საქართველომ, ჯერ კიდევ 1997 წელს გამოაცხადა ამ პროექტზე ტენდერი. პირველად ვარაუდობდნენ, რომ ეს იქნებოდა ერთხაზიანი რკინიგზის ლიანდგი მესამე ტექნიკური კატეგორიით. ახლა ეს იქნებაორხაზიანი ლიანდაგი პირველი ტექნიკური კატეგორიითა და 50 მლნ ტონა ტვირთის გამტარუნარიანობით. ამ გზის საშუალებით შუა აზიისა და სხვა სხვა რეგიონების ტვირთის უმეტესი ნაწილის დასავლეთის მიმართულებით ტრანსპორტირება მოხდება.

საბჭოთა კავშირის დროს ყარსის ოლქი ჩიხში იყო მოქცეული, რამაც მისი ეკონომიკური ჩამორჩენილობა განაპირობა. ახალ ათასწლეულში მან კვლავ მიიღო გეოსტრატეგიული მნიშვნელობა და გახდა თურქეთისა და სხვა ქვეყნების აღმოსავლეთში ექსპანსიის პლაცდარმი. ვიკენ ჩეტერიანის თქმით: „ყარსის ოლქის პრეტენდენტი რუსეთისათვის იქნება სერიოზული გაკვეთილი. მთავარი დასკვნა, რაც შეიძლება მოსკოვში გაკეთდეს, ე სარის ის, რომ სომხეთს უნდა ჰქონდეს გასასვლელი შავ ზღვაზე მაინც. მხოლოდ ეს უზრუნველყოფს თვით რუსეთის უსაფრთხოებას ახალ ათასწლეულში. იზოლირებული სომხეთი უფრო საზიანოა და უმართავია, ვიდრე სომხეთი გეოეკონომიკურ პროექტებში ინტეგრირებული.”

საქართველო-სომხეთის ურთიერთობის განხილვისას, ვაწყდებით კიდევ ერთ პრობლემურ საკითხს _ ჯავახეთის ოლქის მდგომარეობა. ამ ტერიტორიაზე სომხები ჩამოსახლდნენ რუსების ბატონობის პერიოდში. ჯავახეთის სომხები წარმოადგენენ ერთ მთლიან თემს, რომელიც გამოირჩევა თავისებური ქცევის ნორმებით, დიალექტით, ჩვეულებით. ეს არის სრულიად განსხვავებული ეთნო-ფსიქოლოგიური ტიპი. როგორც სომეხი, ასევე ქართველი პოლიტიკოსების უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შემთხვევაში, ჯავახეთის პრობლემა არ იქნებოდა გადაუჭრელი და ჩიხში მოქცეული. მართლაც, წლების მანძილზე, ახალქალაქში არ არსებობს საავტომობილო გზა, რისი საშუალებითაც ეს რეგიონი დანარჩენ საქართველოს უნდა დაუკავშირდეს. მიმოქცევაში არ არის კუპიურა „ლარი“, რადგან ეს მხარე ჯერ კიდევ რუსული რუბლის ზონაშია მოქცეული. ახალქალაქში სკეპტიკურად აღიქმება დაპირება სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისა და ბაზების გაყვანის შემდეგ სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, ამ მხარეში აქციებითა და სეპარატისტული განწყობით პასუხობენ.

ახალქალაქში მოქმედებს რამდენიმე სომხური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია: „ჯავახქი“, „ვირქი“; „ზარტუნკი“; „არშალერი“ მათ შორის ყველაზე აგრესიულია და ანტიქართული სულისკვეთებით გამოირჩევა „ჯავახქი“. სწორედ, ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ინიციატივით იმართება სხვადასხვა საპროტესტო აქციები ჯავახეთის რეგიონის ავტონომიური სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.

ორგანიზაცია „ჯავახის“ ბეჭდვითი ორგანოა ამავე სახელწოდების გაზეთი. მისი უკანასკნელი ნომრის სარედაქციო წერილიდან ვგებულობთ, რომ ერევანში არსებობს სათვისტომო „ჯავახი“, რომელსაც მიზნად დაუსახავს „უპატრონოს“ ჯავახეთს, როგორც ძირძველ სომხურ მიწას. ამავე წერილში გაკრიტიკებულია საქართველოს მიერ გადადგმული ბოლოდროინდელი პოლიტიკური ნაბიჯები, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან სომხეთის ეროვნულ ინტერესებს. საქართველოს ხელისუფლების მიერ თურქეთთან და აზერბაიჯანთან ხელმოწერილი მთელი რიგი ეკონომიკური შეთანხმებები, სომხების მხრიდან აღიქმება მათ წინააღმდეგ შეთქმულებად. ციტატა სტატიიდან: „ყოველივე ამის შემდეგ სომხეთის მშვედობისმოყვარე ხელისუფლება ვერ შეძლებს დაუშალის ადეკვატური ნაბიჯის გადადგმა იმ სომხურ ძალებს, რომლებიც მომავალში, საქართველოს სახით, რეგიონში სერიოზულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეტოქეს ხედავენ.“

ქართულ-სომხური ურთიერთობათა პრობლემა არ შეიძლება განიხილოს ლოკალურად, მხოლოდ კერძო ფაქტორების გათვალისწინებით. ბოლო ათწლეულში, მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების შემდეგ, სომხეთი აღმოჩნდა გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ბლოკადაში, რამაც მისი მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრირება დააბრკოლა. ამ სიტუაციაში ერთადერთი რეალური ძალა ქვეყნის გარეთ, რომლისგანაც სომხეთმა ეკონომიკური მხარდაჭერა შეიძლება მიიღოს, ეს არის რუსეთი. რუსეთთან სომხეთს არ აქვს საზღვარი. გზა, რისი საშუალებითაც სომხეთი რუსეთს უნდა დაუკავშირდეს, საქართველოზე გადის. შავ ზღვაზე გასვლა სომხეთის სტრატეგიულ გეგმას წარმოადგენს. სომხეთის ალიანსი რუსეთთან კი ამ გეგმის განხორციელების საშუალებას. სწორედ ამ ფაქტორითაა განპირობებული ათეული წლების მანძილზე საქართველოს მიმართ წამოჭრილი ტერიტორიული პრეტენზიები, დაუფარავი, აშკარა აგრესია, მიზანმიმართული პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ზეწოლა. ქართველების მიმართ მტრულ, შეურაცმყოფელ დამოკიდებულებას განსაკუთრებული სიმძაფრით გამოხატავენ რუსეთის სომხური დიასპორას სამთავრობო დერეფნებში დაბუდებული სომხები. მათ განცხადებებში ნათლადაა გამოხატული საქართველოს ხელისუფლების მიმართ დაუფარავი ცინიზმი და, საერთოდ, ქართული პოლიტიკის ნივილირება. გაზეთ „ივერია-ექსპრესის“ 1994 წლის 20 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში რუსეთის პრეზიდენტის საბჭოს წევრი, პოლიტოლოგი ანდრანიკ მიგრანიანი აცხადებს, რომ რუსეთმა მხედველობაში უნდა მიიღოს საქართველოში დეზინტეგრაციული პროცესები და რუსეთისთვის ამ რეგიონში, თითქოს სტაბილურობისა და მშვიდობიანობის მიზნით, უზრუნველყოს ახალი სახელმწიფო წარმონაქმნების ნაციონალური და ტერიტორიული გარანტიები. „ნეზავისიმიია გაზეტაში“ გამოქვეყნდა რუსეთ-სომხეთის ინიციატივათა პრეზიდენტის, რუსეთის მეცნიერებათა კანდიდატის ვართანიანის პროვოკაციული სტატია „მთლიანობის უფლება და მთლიანობის დემაგოგია, პოლიტიკური ვერაგობის პრაქტიკა“. ავტორი განიხილავს ამიერკავკასიაში მიმდინარე გეოპოლიტიკურ ცვლილებებს, აზერბაიჯანის ნავთობსადენის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ასპექტებს. იგი აყალიბებს საქართველოს ისტორიას, კერძოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის საბჭოურ პოლიტიკურ მიზნებს, დაუფარავად მხარს უჭერს აფხაზ და ოს სეპარატისტებს. ვართანიანის აზრით, საერთაშორისო სამართალი ტერიტორიული

მთლიანობის გარანტად გამოდის მაშინ, როცა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა საგარეო ხელყოფის ობიექტი ხდება. იგი აქეზებს ჯავახეთის სომხურ დიასპორას და აცხადებს: „საერთაშორისო წესდების არცერთ მუხლში არაა ნათქვამი, რომ მეტროპოლიას (ვგულისხმობ საქართველოსა და აზერბაიჯანს) უფლება აქვს ძალით შეინარჩუნოს თავისი იურისდიქცია არატიტულოვან ხალხზე, თუკი ამ ხალხის ცხოვრების პირობები აუტანელია_ესაა ეკონომიკური, ეროვნული ღირსების შელახვის ან სოციალ-პოლიტიკური და ადმინისტრაციული მოწყობის უვარგისი პრაქტიკა,..“

თანამედროვე სომეხ მეცნიერთა, მწერალთა, ჟურნალისტთა ნაშრომებში ფალსიფიცირებულია საქართველოს ისტორია, კულტურა. ანტიქართული სტატიების, შრომების, წერილების ბეჭვდა უწყვეტად მიმდინარეობს, რომელსაც აფინანსებს სომხური გრიგორიანული ეკლესიის ცენტრი ეჩმიანბინი, კანადის სომხური ეკლესია, სომხური დიასპორა, სომეხი მეცენატები და ბიზნესმენები. სომხურ შოვინისტურ წრეებში შეიმჩნევა არაჯანსაღი ტენდენცია ქართული ეკლესია-ნაგებობების მისაკუთრება და დიდი ქართველი მწერლების სომხებად გამოცხადება. თანამედროვე არმენოლოგიაში გავრცელებული მოსაზრება, რომ თითქოს საქართველოში მცხოვრები სომხები ასრულებენ საქართველოს ისტორიაში უფრო დიდ როლს, ვიდრე ქართველები. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ამერიკელი სომეხის როლანდ სიუნის წიგნი „ქართველი ერის ჩამოყალიბება“, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ: „საქართველო სომხეთის ნაწილია, ქართველი ერის ჩამოყალიბებაც სომხეთის წყალობით მოხდა. საქართველოში თუკი რამ გაკეთებულა, მხოლოდ სომხეთის ღვაწლით.“

ამ ფაქტების შემდეგ უნებლიედ გვახსენდება გერონტი ქიქოძის სიტყვები: „ჩვენ გვწამს_წერდა იგი სოციალურ ნაშრომში „ეროვნული ენერჯია“,_ რომ რომელიმე გურჯაანელი ან ატოცელი სომეხი შეიძლება სრულიად გულწრფელად თავს ქართველ მოქალაქედ ჰგრძნობდეს და საუკეთესო სურვილებით მიდიოდეს რესპუბლიკის ლაშქარში, მაგრამ საკმაოა, რომ ის ბრძოლის ველს მიუახლოვდეს, საკმაოა ათასი წლის წინათ დაშორებული თანამემამულეები დაინახოს და მათი ყიჟინი გაიგონოს, რომ ერთ წამში სრულიად გარდაიქმნას და „ანდრონიკასა“ და „ჰარენიკის“ სახელების შთაგონებით მომთვრალივით მეორე ლაშქრის მხარეზე გადავიდეს. ამიტომ დღეს მართლაც არც ერთი სომეხი არ არის სანდო. ის რაც ხდება, არ არის ღალატი ამ სიტყვის ტრივიალური მნიშვნელობით, ესაა რასიული სტიქიონის გამარჯვება, რომლის წინაშე სუსტია ცალკე პიროვნების შეგნება.“

ზოგიერთი საკითხი ქართულ სომხურ ურთიერთობათა შესახებ

რიტა ყაველაშვილი

ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე საქართველო და სომხეთი მეზობლები ყოფილან, მაგრამ თავდაპირველად სომხეთს მცირე ტერიტორია ეკავა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ანტიოქოს დიდის სარდლებმა, არტაქსიმ და ზარიადრმა ცალ-ცალკე ორი სომეხთა სამეფო დაარსეს, სომხეთის საზღვრებიც გაფართოვდა. სტრაბონის ცნობით, სომხეთის მეფეებმა მეზობლებს მიწები წაართვეს. მაშინ ქართველთა ტომებისთვისაც წაურთმევიათ ჰარიადრის სანახები. ეს მოხდა 191 წელს ქრისტესშობამდე და სომეხთა პირველი იერიშია ქართული ტერიტორიის დასაპყრობად.

374 წლიდან სომეხ არშაკუნიანთა დინასტია განუწყვეტლივ ეცემოდა. ამას ხელი შეუწყო უფლისწულების, არშაკისა და ხოსროს შორის ატეხილმა ბრძოლამ ძალაუფლებისთვის. ეს დავა 387 წელს სომხეთის ორ სამეფოდ გაყოფით დამთავრდა, და სწორედ ამ დროს ქართველებმა თავიანთი ქვეყნები გუგარეთი, გარდაბანი, კარწახი უკან დაიბრუნეს.

V საუკუნეშიც, ვახტანგ გორგასალის მეფობისას, გუგარეთი იბერიის სამეფო საზღვრებში შედიოდა არა მარტო პოლიტიკურად, არამედ საეკლესიო წესწყობის მხრივაც.

რელიგიურმა უთანხმოებამ, რომელიც V საუკუნეში დაიწყო და განხეთქილებით დასრულდა, პოლიტიკურ ურთიერთობებშიც H3პოვა თავისი ანარეკლი და ვინაიდან ეკლესიას მნიშვნელოვანი იდეოლოგიური დანიშნულება აქვს, ამ გარემოებამაც განსაზღვრა მომავალში ქართულ-სომხური ურთიერთობების ხასიათი, თუმცა თავიდან ამ განხეთქილებას პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად.

ფრანგი ბიზანტიოლოგის, შარლ დილის თქმით, ამ კონფლიქტში არაერთგზის იჩინა თავს პოლიტიკურმა ინტერესებმა და შეჯახებებმა, რომლებმაც საკმაოდ ღრმა კვალი დატოვეს ბიზანტიის იმპერიის ისტორიაში. ამ უთანხმოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთდამოკიდებულებისთვის აღმოსავლეთში, ასევე ბიზანტიასა და დასავლეთს შორის კავშირის განსაზღვრისათვის.

სელჩუკიან თურქთა შემოსევამ კავკასიაში და კერძოდ საქართველოშიაც გიორგი II-ის მეფობის დროს გარეშე ძალის მიერ დაპყრობილი ქვემო ქართლის შემოერთების პროცესი დროებით შეაფერხა: თურქობა თბილისს, სამშვილდეს, აგარას, რუსთავს დაეპატრონა. მათ დაიპყრეს მთელი "სომხითიც". ამის შემდეგ ქართლის სამხრეთ ნაწილში "სომხითის" მეფობის არსებობაც მოისპო. ამიტომ, როდესაც დავით აღმაშენებელმა 1110 წ. პერნა და სამშვილდე კვლავ დაუბრუნა საქართველოს, ხოლო ამის შემდეგ თურქებმა უბრძოლველად დასცალეს "სომხითის", უმრავლესი ციხე, ეს

უკვე ქართლის სამხრეთ ნაწილის სომეხთა ბატონობისგან გათავისუფლება კი არ იყო, (მაშინ "სომხითი", როგორც პოლიტიკური ერთეული უკვე აღარ არსებობდა) არამედ, სელჩუკიან თურქთაგან გამოხსნა. აქედან მოყოლებული ქართლის სამხრეთი ნაწილი და თვით "სომხითიც" საქართველოს განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა.

ქართველებს ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილის, ე.წ. "სომხითის" მნიშვნელობა კარგად ესმოდათ სა საქართველოს თავდაცვისათვის მას განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ. ეს იქედანაც ჩანს, რომ საქართველოს მეფეებმა მიზნად ჯერ ამ კუთხის უცხო ძალისგან გათავისუფლება დაისახეს, და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგნენ საქართველოს დედაქალაქის შემოერთებას. თვით თბილისის დაბრუნების შემდეგაც, "სომხითის" საქართველოს მთავრობისათვის თავისი დიდი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ამას ისიც ცხადყოფს, რომ სომხითის ციხე ლორე საქართველოს ჯარის მთავარსაღდლისა და სამხედრო მინისტრის, ამირსპარსალარის რეზიდენციად ითვლებოდა, ალბათ იმიტომაც, რომ აქედან სამხრეთიდან მომავალი მტრისაგან საქართველოს დაცვა საუკეთესოდ შეიძლებოდა.

მაჰმადიანთა 400 წლიანი ბატონობისაგან თბილისის განთავისუფლების შემდეგ სომხური საზოგადოება საბოლოოდ დარწმუნდა, რომ დავით აღმაშენებლის ჯარს სომხეთის გამოხსნაც შეეძლო თურქ-სელჩუკთა უღლისაგან. სომეხთა დედაქალაქის, ანისის სომხური საზოგადოებრიობის თავკაცებმა თხოვეს აღმაშენებელს, ეხსნა ანისი და საერთოდ, დაეცვა ცომხეთი მტრის თარეშისა და მძლავრობისაგან. ეს ასეც მოხდა, მაგრამ დავითი 1125 წლის დამდეგს გარდაიცვალა; ამის შემდეგაც თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველოს უხდებოდა ბრძოლა გარეშე მტრისაგან სომხეთის დასაცავად. ცხადია, ეს საქართველოს ინტერესებსაც შეესაბამებოდა.

სომეხები საკუთარი ძალებით თავიანთი ქვეყნის დაცვას ვერ ახერხებდნენ. XI ს-ის შუა ხანებში დაეცა სომხეთის უმთავრესი, ანისის სამეფო, ხოლო XII ს-ის დასაწყისიდან აღარ არსებობდა არავითარი სახის სომხური სახელმწიფოებრიობა. XI ს-ში სომხური სახელმწიფოებრიობის მოსპობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ IX-X სს-ში სომხეთის მეფეები ყველანაირად ცდილობდნენ საქართველოს ტერიტორიის დაპყრობას. მათ ამ საქმის დიდი ძალისხმევა შეაღიეს, გარეშე მტრები კი ვეღარ უმკლავდებოდნენ.

სომეხ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ XI ს-ში დაცემული სომხური სახელმწიფოებრიობა აღდგენილ იქნა მხარგრძელთა ძალისხმევით, თამარის მეფობის დროს. ს. ერემიანისა და ხ. თოროსიანის სტატიის სათაურიდან "ზაქარიანთა სამთავრო, ანუ ზაქარიანთა სახელმწიფო, ზაქარიანთა სომხეთი" ჩანს, რომ სომხეთში ზაქარია მხარგრძელის სახელისაგან თითქოს შექმნილია ზაქარიანთა სამეფო თუ სამთავრო დინასტია. წერილში ნათქვამია: "XII ს-ის ბოლოს ზაქარიანებმა გაანთავისუფლეს ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთის უდიდესი ნაწილი და იქ აღადგინეს სომხური სახელმწიფოებრიობა. განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშლა-გაფართოების, სამხედრო წარმატებისა და სომხური ოლქების სელჩუკთაგან გამოხსნის კვალდაკვალ იცვლებოდა ზაქარიანთა სამართლებლივ-პოლიტიკური მდგომარეობაც. ქართველ ბაგრატიონებზე

ვასალური დამოკიდებულებიდან ისინი აღზევდნენ და განთავისუფლებული სომხეთის თვითმპყრობელი მბრძანებელი გახდნენ. გაავრცელეს რა თავიანთი ხელისუფლება ყოფილი ბაგრატიუნთა სომხეთის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე, ზაქარიანები ფაქტობრივად სომეხი ბაგრატიუნების სამართალმემკვიდრეებად იქცნენ".

თანამედროვე ზაქარიანებს მეფეებს ეძახდნენ _ ნათქვამია სტატიაში სახელმწიფოსა და ფეოდალური იერარქიული კიბის მეთაურს წარმოადგენდა ზაქარე, რომელიც აგრეთვე ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი, ამირსპასალარი იყო. იგი წყვეტდა ომისა და ზავის საკითხებს, ნიშნავდა და ათავისუფლებდა დიდმოხელეებს".

მხარგრძელები თამარის დროს ქართველებად ითვლებოდნენ. ივანე მხარგრძელმა მართმადიდებლობაც მიიღო, ხოლო ზაქარია საგანგებო ღონისძიებებს ახორციელებდა, რათა სომხური ეკლესიის პრაქტიკაში გარკვეული ცვლილებები შეეტანათ და მით სომხური რჯული ქართულისთვის დაეახლოვინებინათ. ზაქარიას ერთადერთი შვილი, შანშე ოფიციალურად მართმადიდებელობაზე აყო მოქცეული.

რაც შეეხება მხარგრძელთა მონოფიზიტობას XII საუკუნემდე, ეს აიხსნება იმით, რომ მათი საგვარეულო მამული მოქცეული იყო ტაშირ_ძორაგეტის სამეფოს საზღვრებში. ამ სამეფოს სომხური დინასტია განაგებდა, თუმცა იგი ძირითადად საქართველოს ტერიტორიას განეკუთვნებოდა. მის სატახტო ქალაქს ერთხანს ქვემო ქართლში მდებარე სამშვილდე წარმოადგენდა, შემდგომ- ლორე. XI ს-ის ბოლოს სომხეთის მეფეებმა შეძლეს ქართველი მეფე-მთავრების შინაომში ჩარევა, ასევე ისარგებლეს თბილისის არაბი ამირების სისუსტით და ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაისაკუთრეს. ამას ქართული მოსახლეობის ძალით გრიგორიანობაზე მოქცევაც მოჰყვა შედეგად.

მას შემდეგ, რაც XIII საუკუნის პირველ ნახევარში მონღოლები გაბატონდნენ საქართველოში, ქართველ ერს უხდებოდა თითქმის განუწყვეტლივი ბრძოლა იმისთვის, რომ შეენარჩუნებინა ქართული სახელმწიფოებრიობა.

საქართველოს მოსაზღვრე ალბანეთის სახელმწიფო და ალბანური ტომები განადგურდა ხოლო სომხური სახელმწიფოებრიობა დაეცა XI ს-ში და ამის შემდეგ სომხეთში სომხური სახელმწიფო 1918 წლამდე აღარ შექმნილა. სომხეთი თანდათან იცლებოდა სომხური მოსახლეობისაგან. 1928 წელს, როცა რუსეთმა შეიერთა სომხეთი, აქ მხოლოდ 25000 სომეხი ცხოვრობდა, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულმა სომხებმა დიდი უნარი გამოიჩინეს ვაჭრობაში და ძირითადად ამის სწალობით და სომხური ეკლესიის საქმიანობის შედეგად შესაძლებელი გახდა სომხეთის აღდგენა.

მაშინ, როდესაც რუსეთი საქართველოში დამკვიდრებას ცდილობდა, მისი პოლიტიკის ერთ-ერთი ეფექტური ხერხი იყო ქართველ-სომეხთა შორის შუღლის ჩამოგდება.

სომეხთა შემოხიზვნა საქართველოში უძველესი დროიდან ხდებოდა, მაგრამ ამ მხრივ გამორჩეულია XIX ს-ე და XX ს-ის დასაწყისი. რუსეთის იმპერიის მესვეურებმა გადაწყვიტეს მოსახლეობის ეთნიკური აჭრელება და ამის შედეგად საქართველოში

სომხური მოსახლეობა მეტისმეტად მომრავლდა. როგორც იმდროინდელი ქართველი მოღვაწეები ამბობდნენ, რუსეთმა საქართველოს შემოუსია სომხები. სწორედ ამ პერიოდში გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძემ გახმაურებული თხზულება "სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი". საბჭოთა პერიოდში ამ თხზულებას სახელი შეუცვალეს და იგი დღეს "ქვათა ღაღადის" სახელითაა ცნობილი. ილია გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სომეხთა გარკვეული წრეები, "სიტყვითა და კალმით ქვეყანას ეფიცებიან, ვითომც კავკასიის ქედს აქეთ ტიგრისა და ევფრატის სათავეებამდე თითქმის შავი ზღვიდამ კასპიის ზღვამდე, ეგრეთწოდებული არმენია (ვითომც სომხეთი) ყოფილა ათადამ_ბაბადამ დღევანდლამდე".

"რისთვის არის ატეხილი ეს მტვერ-ბუქი, ეს ფუქსავატი ჭექა_ქუხილი? იმისთვის, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ამიერკავკასიაში ერთადერთი სომხის ერია, რომელიც ძველისძველად ყოფილა, დღესაც არის და ამის გამო მომავალიც მისთვის უფრო უპრიანია, ვიდრე სხვებისთვის"...

გიორგი ბრწყინვალეს ეპოქაში კვლავ გაძლიერებულმა საქართველომ დიდი წინააღმდეგობა გაუწია თემურ-ლენგის ურდოებს, მაგრამ ბრძოლების შედეგად ქვეყანა დასუსტდა და სამეფო სამთავროებად დაიშალა.

1453წ. თურქ-ოსმალებმა დაიპყრეს კონსტანტინეპოლი, გაბატონდნენ მთელ მცირე აზიაში, თანდათან დაიკავეს შავი ზღვაც და საქართველოს ევროპასთან მიმოსვლის გზები გადაუკეტეს. რადგან ამ პერიოდისთვის სომხებს თავიანთი სახელმწიფო არ ჰქონდათ, გაფანტულნი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნებში და ევროპაში დიდი უნარი გამოიჩინეს. მათთვის ქართველებზე გაცილებით ადვილი იყო ევროპელებთან კავშირის დამყარება. არც ირან-ოსმალეთი იყო ძალზე აგრესიულად განწყობილი მათ მიმართ. უფრო მეტიც, ირან-ოსმალეთი ფართოდ აბამდა სომხებს თავიანთ ვაჭრობაში.

სომეხი ვაჭრების მიმართ განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იჩენდა შაჰ აბას I. მართალია, მან სომხებიც გადაასახლა სომხეთიდან ირანში, მაგრამ ამასთანავე სომხებს ირანში, ისპაანის გარეუბან ახალ ჯულფაში შეუქმნა შესანიშნავი პირობები, რათა ისინი ფართოდ ჩაბმულიყვნენ ვაჭრობა_ხელოსნობაში. მეტიც, შაჰ აბას I-მა აბრეშუმით ვაჭრობაზე მონოპოლია სომეხ ვაჭრებს გადასცა. მას სომეხი ვაჭრები ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობისთვისაც სჭირდებოდა. შაჰ-აბასი ვენეციის ხელისუფლისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აახლა ქრისტიანი ვაჭარი, რომელიც ეროვნებით სომეხი იყო. თუ საჭირო გახდებოდა, შაჰ-აბასი ექომაგებოდა, კიდევ თავის სომეხ ვაჭრებს ევროპელ ვაჭრებთან კონკურენციის დროს. ვინაიდან გრიგორიანი სომეხი ვაჭრებიდიდ ერთგულებას იჩენდნენ სომხური ეკლესიის მიმართ, მათი გულის მოსაგებად შაჰ-აბასმა ახალ ჯულფაში ააგებინა წმინდა ეჩმიადინის ეკლესია.

დროთა განმვლობაში სომეხი ვაჭრები ისე გამდიდრდნენ და გაძლიერდნენ, რომ ერთ-ერთი მათგანი, საფრაზი VIII სომეხთა მეფედ იწოდებოდა.

სომხური ეკლესიის მმართველებმა XIII საუკუნეში მოახერხეს ირანის შაჰებთან საერთო ენის გამონახვა. XVI-XVII სს-ში ირანს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ევროპის ქვეყნებთან. ევროპელებიც ირანის ხშირი სტუმრები იყვნენ. რომის პაპები და მათი მხარდამჭერი პოლიტიკოსები ყველანაირად ცდილობდნენ კათოლიკობის გავრცელებას ირანში, რადგან სომხები ირანში საკმაოდ დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ, მდიდრები და გავლენიანები იყვნენ და ევროპელები სომხებს ამ დროისათვის კარგად იცნობდნენ, ირანში სომხებსა და ევროპელებს შორის მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა. იმდროინდელ სომხებში ძლიერი იყო მისწრაფება სომხური სახელმწიფოს აღსადგენად და ამ საქმეში ისინი ცდილობდნენ ევროპელთა მხარდაჭერის მოპოვებას.

როგორც ვნახეთ, XI -ე საუკუნიდან მოყოლებული სომხები საკუთარ სახელმწიფოებრიობას მოკლებულნი იყვნენ,, XVI საუკუნიდან კი სახანოების ქვეშევრდომებად ითვლებოდა. თანდათან სომხობა თავიანთი საცხოვრებელიდან იყრებოდა და სხვა ქვეყნებში სახლდებოდა. საქართველო მათთვის ყველაზე ხელსაყრელი ქვეყანა იყო. ისინი ძირითადად სახლდებოდნენ სომხეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე.

ერეკლე II -ის დროს საქართველოში სომეხთა შემოსახლების ხასიათი საგრძნობლად იცვლება: თუ მას აქმდე პოლიტიკური მოტივაცია არ გააჩნდა, ახლა სწორედ პოლიტიკური ელფერი დაედო. როდესაც სომხებმა შეიტყვეს, რომ ერეკლე მეფე რუსეთთან ხელშეკრულებას დებდა და რუსეთთან კავშირსა და მის მფარველობას ეძებდა, წინმსწრები პოლიტიკა გაატარეს. ქართულ-რუსული ხელშეკრულება ჯერ კიდევ დადებული და ხელმოწერილი არ იყო, რომ სომეხთა ეპისკოპოსებმა, მელიქებმა და სხვა წარჩინებულებმა პირებმა რუსეთის მთავრობას 1783 წლის 3 მარტს შედგენილი თხოვნა მიართვეს, რომელშიაც ყარაბაღისა და ყარადაღის სომხები რუსეთის სამეფო კარს ერთგულებას უცხადებდნენ უცხოელთა ბატონობისაგანგათავისუფლებას სთხოვდნენ. რუსეთის მთავრობამ ეს თხოვნა ყურად იღო. გადაწყვიტა ერეკლეს დახმარებით შუმის ხანი დაემხო, ამავე დროს ყარაბაღი და ყარადაღი ერთ სომხურ ოლქად გააერთიანებინა და რუსეთის კონტროლ ქვეშ მოექცია. ამ ოლქის მართვა სომეხთა თანამემამულეს უნდა ჩაჰბარებოდა და მისთვის საუკეთესო პირობები უნდა შეექმნათ, რომ სომეხთა დანარჩენ ოლქებსაც ყარაბაღელ სომხებისთვის მიეზამათ და მათთან შეერთებულიყვნენ.

1795 წელს, აღა-მახმად-ხანის შემოსევისას შემღებული სომხები ყარაბაღიდან, ერევნიდან, ნახჭევანიდან მაჰმადიან მცხოვრებლებთან ერთად საქართველოში გამორბოდნენ და აქ სახლდებოდნენ.

თბილისის აღების შემდეგაც მელიქები აბოვი და მუჯლუმი თავის ყმებიანად ისევ ერეკლე მეფეს შეეხვეწნენ და საქართველოში დასახლების ნებართვა სთხოვეს. ერეკლე მეფემ ისინი საქართველოში დატოვა, სოფელი ბოლნისი მისცა და კოლპის გზის დაცვა დაავალა.

დანარჩენი სომეხი მელიქები ჩიმშედისა და ერიდონის მეთაურობით რუსეთის ხელმწიფესთან მივიდნენ საიდუმლო თხოვნით, თქვენს ქვეშევრდომობაში მიგვიღეთ. ამავე დროს ისინი თხოულობდნენ ან რუსეთში შეხიზვნის, ან საქართველოში დასახლების ნებართვას. რუსეთმა ისინი თავიანთი მფარვეობის ქვეშ მიიღო და საქართველოში სამხრეთსაზღვარზე დასახლების უფლებაც მისცა. ასე, რომ სომეხ მცხოვრებთა ახლანდელი სიმრავლე საქართველოს სამხრეთ საზღვარზე რუსეთის მთავრობის პოლიტიკური გეგმებით იყო განპირობებული. 1897 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, ბორჩალოს მაზრაში სულ 128 587 მცხოვრები ითვლებოდა და მათ შორის სომეხები 48 609, თურქ-თატრები 37 609, ბერძნები 21 347, ქართველებიკი მხოლოდ 6 685.

საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდში ლორე თითქმის უკაცრიელი იყო და მხოლოდ 1827-29 წლებში, როდესაც ოსმალეთისაგან 100 000 მცხოვრები, ხოლო სპარსეთიდან 30 000 შემოიხიზნა და ნაწილი მათგანი ბორჩალოს მაზრაში, ნაწილი ერევნის გუბერნიაში დასახლდა, მხოლოდ ამ დროიდან მოყოლებული ჩნდება ქვემო ქართლში მჭიდრო დასახლებული და შედარებით მრავალრიცხოვანი სომეხთა მოსახლეობა.

რუსეთთან 1983 წ. დადებული ხელშეკრულებითაც და საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს პოლიტიკურად ქვემო ქართლისაქართველოს კუთვნილება იყო, ხოლო რუსეთთან კავშირისა და მფარველობის მიზანს საქართველოს მიწა-წყლის და დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობა შეადგენდა. ეს დებულება თვით ხელშეკრულებაშიც იყო შეტანილი და მეორე მუხლში ნათქვამი იყო, რომ რუსეთის ხელმწიფე თავდებას იღებდა რათა ქართული სამეფოს მთლიანობა და ხელშეუხებლობა დაცული ყოფილიყო.

სომეხი მოსახლეობა ისე იყო ჩამოსახლებული, რომ მთავარ ეკონომიკურ საყრდენს მაინც ქალაქი თბილისი წარმოადგენდა და არ იქმნებოდა საფრთხე იმისა, რომ ქართული ტერიტორია მოწყვეტილი ყოფილიყო და ცალკე არსებობა გაეგრძელებინა, მაგრამ იმ დროს, როდესაც ამიერკავკასიაში მეფის ნაცვლად გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი იყო. სომეხებმა ისარგებლეს კეთილგანწყობით და წამოაყენეს საკითხი ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების თბილისის გუბერნიისგან გამოყოფისა და გუმბრთან შეერთების შესახებ, რათა შეექმნათ გუმბრის, (ალექსანდროპოლის) გუბერნია და ერევანი შეერთებოდნენ.

ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება გასცა რათა ეს საკითხი შეესწავლათ და მისთვის შესაბამისი მოხსენება წარედგინათ. ამიტომ 1913 წლის 6 ნოემბერს და ამავე წლის დეკემბერს თბილისის გუბერნატორმა ბორჩალოს სამაზრო კომისიას წერილი გაუგზავნა რომ საქმეში ჩახედულ პირთაგან ადგილზე გარკვეულიყო შესაძლებელი იყო თუ არა ბორჩალოს მაზრის გუმრთან შეერთება და ერთიანი იურისდიქციის წარმოდგენა. ამ სამაზრო კომისიამ ჩვენდა საბედნიეროდ დაადგინა, რომ ბორჩალოს მაზრის თბილისის გუბერნიიდან გამოყოფა სასურველი არ იყო.

როდესაც რუსეთმა საქართველო შემოიერთა მესხები ანუ ახალციხის საფაშო ოსმალეთს დარჩა და მხოლოდ 1828 წელს დაპყრობილ იქნა. ამ საფაშოს ერთი ნაწილი ადრიანოპოლის ზავით რუსეთმა შემოიერთა. 1877-78წ ომის შემდეგ მესხეთის მეორე ნაწილიც იქნა შემოერთებული მთელ ამ კუთხეში ქართველი ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. რუსეთის აქ შესვლას 1828 წელს მკვიდრ ქართველ მაჰმადიანთა აყრა მოჰყვა შედეგად უფრო ჯავახეთიდან და ასევე სამხრეთიდანაც. რუსებმა რომ ახალციხე აიღეს, კავკასიის მაშინდელ მთავარმართებელს ქართველმა თავადაზნაურობამ წარუდგინა დამამტკიცებელი საბუთები იმისა რომ სამცხე ჯავახეთში მათ მფლობელობით უფლებები გააჩნდათ და თავიანთი კანონების აღდგენა მოითხოვეს, მაგრამ პასკევიჩმა არათუ შეისმინა ეს მოთხოვნა განრისხდა კიდევ.

ამ დროისთვის ოსმალეთისგან, ყარსისა და არზრუმის საფაშოებიდან იქაური სომხობა გამორბოდა და საქართველოში თავშესაფარს ეძებდა. რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუწია, თითოს 25 მანეთი მისცა, რაც იმ დროისათვის მნიშვნელოვან თანხას წარმოადგენდა და სახელმწიფო გადასახადებისგანაც გაათავისუფლა. საქართველოს 90 000-ზე მეტი სომეხი ლტოლვილი მოაწყდა; მათ დასასახლებლად საახალშენო კომიტეტი იყო დაარსებული და 30000-მდე სომეხი დასახლებულ იქნა ახალციხისა და განსაკუთრებით, ახალქალაქის მაზრებში. ბუნებრივია, მდგომარეობა შეიცვალა ეროვნული შემადგენლობის მხრივ. 1832 წელს ახალციხე-ახალქალაქში რაოდენობის მხრივ უმრავლესობას პირველ რიგში სომხები, შემდეგ კი მაჰმადიანი ქართველები შეადგენდნენ.

1918 წელს სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ ომის გამოუცხადებლად ჯარი შემოუსია საქართველოს. იმ ხანებში სომხეთი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. წინა წლებში თურქეთში განხორციელდა გენოციდი, ხოლო 1918 წლის დასასრულს სომხეთში მძვინვარებდა ეპიდემია, რომელსაც უამრავი სომეხი შეეწირა. ასეთ დროს სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ მინდომა ქვემო ქართლის, თბილისისა და ჯავახეთის დაპყრობა. ჯავახეთის საკითხი დღესაც მწვავედ დგას. (სომხები მას მეორე ყარაბაღად მიიჩნევენ) დაშნაკური მთავრობის მიზანი ნაწილობრივ მიღწეულ იქნა. იმ დროს დაიწყო და მალე ბოლშევიკების წყალობით დასრულდა ლორე-ტაშირის გადაცემა სომხეთისთვის.

ახლა ისტორიული რელობის გათვალისწინებით თვალი გადავავლოთ მეზობელ ქვეყანას, რომელსაც ამიერკავკასიაში ერთერთი ყველაზე სერიოზული შეიარაღება გააჩნია.

1996-1997 წლებში მასმედიაში განუწყვეტლივ მუსირებდა აზრი, რომ რუსეთი დიდძალ შეიარაღებას აწვდის სომხეთს, მაგრამ ამის დადასტურება ვერ ხერხდებოდა მანამ, სანამ რუსეთის დუმის დახურულ სხდომაზე ყველაფერს ნათელი არ მოჰფინა რუსმა გენერალმა ლევ როხლინმა: "სიტუაციის ანალიზისას მივედი დასკვნამდე, რომ სახელმწიფოს პოლიტიკის შეცვლა დსტ-ს ქვეყნების ქვეყნების მიმართ, რომელიც ეწინააღმდეგება დსტ- შექმნის სამართლებლი დოკუმენტებს და ზიანს აყენებს რუსეთს საერთაშორისო არენაზე, შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრიობის ზეწოლის მეშვეობით სხვადასხვა მიზეზების გამო".

პირველ მიზეზად როხლინი კავკასიაში შერჩევითი პრინციპით იარაღის უკანონო მიწოდებას ასახელებს, რამაც შესაძლოა, ახალი კონფლიქტური სიტუაციის შექმნას შეუწყოს ხელი და რაშიაც ჩართული იქნება რუსეთი. "ერთი სახელმწიფოს შეიარაღების უპირატესობის შექმნით მეორესთან მიმართებით, გარკვეული პოლიტიკური ძალები რუსეთში უბიძგებენ მათ გადაჭრან პრობლემები პოლიტიკური გზით"- აცხადებს ლევ როხლინი.

მეორე მიზეზი, რუსი გენერლის აზრით, არის ის, რომ არ ჩანს რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სურვილი უკეთესობისკენ შეცვალოს თავისი ნეგატიური პოლიტიკა კავკასიის ცალკეული რესპუბლიკების მიმართ.

მესამე - იარაღის მიწოდება სულ უფრო და უფრო უკონტროლო ხდება მაფიოზური სტრუქტურების აქტიური მონაწილეობის წყალობით.

როხლინმა სხდომაზე წარმოადგინა დოკუმენტები ყოველი კონკრეტული შემთხვევის დასასაბუთებლად.

ფაქტები კი რომელიც მან მოიყვანა ასეთია:

როხლინის მტკიცებით, იარაღის გადაცემა ხდებოდა ყოველგვარი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების დადების გარეშე, რამაც გამოიწვია ბევრი დარღვევა. მან წარადგინა სამხედრო ჯგუფში მომუშავე კომისიის მიერ შედგენილი აქტი, რომელშიც ნათქვამია:

გულმოდგინე დოკუმენტურმა რევიზიამ აჩვენა, რომ 1992-1994 წლებში ადგილი ჰქონდა კავკასიის რესპუბლიკებში იარაღის და სამხედრო ტექნიკის გადაცემის ფაქტებს სამხედრო დაჯგუფების მხრიდან შესაბამისი დირექტიული მითითებების გარეშე.

სარაკეტო-საარტერიული შეიარაღება 9.5 ათას ერთეულზე მეტი, 600 ვაგონამდე საბრძოლო მასალა, 72 ერთეული ჯავშან სატანკო შეიარაღება და ტექნიკა. არ არსებობს აღნიშნული პერიოდის პირველადი დოკუმენტები, რომელიც დაადასტურებს გატანას: საწვავ-საცხები მასალების სამსახურის 21314 ტექნიკის ერთეულის და 64.2 ათასი ტონა საწვავის, 15977 კავშირის კომპლექტის და 41003 კგ. საველე კაბელის".

რაც შეეხება როხლინის განცხადების უარყოფას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში რუსეთის მიერ სომხეთისათვის 84 ტანკისა და 50 < დოკუმენტები დასადასტურებლად ნათქვამის გენერალმა რუსმა თაობაზე, გადაცემის -ს>

75 ტანკი N-7213 დასახელების სათადარიგო ნაწილით (გენერალური შტაბის 1994 წლის 29 სექტემბრის დირექტივის თანახმად). გადეცა გიუმრის 102 სამხედრო ბაზიდან. ადრე 1994 წლის 11, 14 და 21 ოქტომბერს განხორციელდა სათადარიგო ნაწილების ჩატანა კუბინკას აეროდრომიდან ხოლო ერთერთი რეისით კამენკას აეროდრომიდან.

5 ტანკი გადევნა ამიერკავკასიის სამხედრო დაჯგუფების შემადგენლობიდან (ოთხი ვაზიანის სამხედრო ბაზიდან და ერთი გიუმრიდან).

4 ტანკი და 33 < აეროდრომიდან. ჩელოვსკის ნაწილი სათადარიგო ტონა 85 გადაისროლეს BK-72 თვითმფრინავით 5 თანახმად დირექტივის ივლისის 20 წლის 1996 შტაბის გენერალური ბაზიდან, სამხედრო ბათუმის

გიუმრის სამხედრო ბაზა 1993 წლისთვის 100%-ით დაკომპლექტებული იყო სამხედრო ტექნიკითა და საბრძოლო მასალით, ხოლო 25%-ით პირადი შემადგენლობით. როხლინის განცხადებით, ყოველივე ეს ხდება დსთ-ს ორ სახელმწიფოს შორის ომის გაჩაღების მიზნით.

პირადად როხლინმა, მისი თქმით შეამოწმა საბრძოლო მასალების საწყობი მოზდოკში. 1992 წლის აგვისტოდან 1994 წლის იანვრის ჩათვლით BK-76 ის 66 რეისითა და FY-12-ის ორი რეისით მოზდოკის აეროდრომიდანერევანში გადაისროლეს 1300 ტონა საბრძოლო მასალა. იგივე საწყობებიდან 1994 წლის თებერვალ-იანვარში ნოვოროსიისკისა და ბათუმის გავლით ორი რეისითსამხედროსაზღვაო გემ "გენერალ რიაბიკოვისა" და GH N<-33 მეშვეობით გადაიტანეს კიდევ დამატებითისაბრძოლო მასალები სომხეთში.

როხლინი აცხადებს, რომ ეს ყველაფერი ანგარებითი მიზნებით ხორციელდება, ამის მაგალითად კი მას მოჰყავს ომსკის ტანკების, ვოლგოგრადიდან საბრძოლო მასალის, ირკუტსკიდან, სვერდლოვსკიდან და პერმსკიდან არტილერიის მიწოდების ფაქტები, რაც საგარეო ურთიერთობათა საკითხებში სომხეთის თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილის, გენერალ-მაიორ სტეპანიანის ხელმძღვანელობით განხორციელდა. მარტო ჯავშანტექნიკების ომსკიდან გაგზავნაშისომხეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ისახიანმა გადაიხადა 632.606.333 რუბლი. საბრძოლო მასალის და იარაღის გაგზავნა 5 შემადგენლობით უზრუნველყო არმიამ 1 მლრდ 187 მილიონი რუბლის სავარაუდოდ.

229 UKB- ის მეთაურმა უარი თქვა სომხეთში გასამგზავრებლად თვითმფრინავის გამართვაზე. მაშინ სომხურმა მხარემ ვოლგოგრადის კომერციულ სტრუქტურებში შეისყიდა 2740 ტონა საავიაციო ბენზინი.

თუმცა ყველა რეისის ანაზღაურება, რუსი გენერლის განცხადებით, არ ხდებოდა. მხოლოდ ქონებსი გადასაზიდად BK-76 ითა და "რუსლანით" განხორციელდა 7 მლრდ 950 მლნ რუბლის ღირებულების 139 რეისი.

1996 წელს სომხეთში მიწოდებული 24 ოპერატიულ-ტაქტიკური სატანკო რაკეტა და კომპლექსის საბრძოლო ქობინი G-17, როხლინის განცხადებით, საკმარისი იყო ბაქოს დასანგრევად.

1996 წელს იარაღის მიწოდების მაღალი აქტივობა, _ თვლის რუსი გენერალი _ მოწმობს იმას, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობას არა აქვს სურვილი შეცვალოს არსებული პოლიტიკა.

"როგორ მოხდა, აცხადებს როხლინი _ რომ მთელი ამ შეიარაღების საფასურად რუსეთმა არ მიიღო მანეთიც კი? თუნცა შესაძლოა ვიღაცამ მიიღო ნაღდი ფულიც, ან უცხოურ ბანკებში გაიხსნა ანგარიშები?" ამგვარი პოლიტიკის წყალობით კი რუსეთის ფინანსურმა დანაკარგმა 1 მილიარდი დოლარი შეადგინა.

როგორც ვხედავთ, რუსეთის მთავრობამ და სომხეთმა თავიანთ მიზანს მიღწიეს: სომხებმა მიწები მიიღეს, რუსებმა კი საქართველოში ერთგული იდუმალი ქვეშევრდომები გაიჩინეს სერიოზული სამხედრო პოტენციალით, ამით კი ხელი შეუწყეს კიდევ ერთი მინავლებული ცეცხლის არსებობას, რომელიც არავინ იცის როდის გამოავლენს თავის ნამდვილ ბუნებას.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღესდღეისობით სომხეთი უახლესი საბრძოლო ტექნიკითაა შეიარაღებული და იმასაც, რომ დსთ-ს ბიშკეკის ექვსეულის ხელშეკრულება, სადაც რუსეთი და სომხეთიც შედის, ითვალისწინებს, რომ ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში შეიარაღებული მოქმედების დაწყების შემთხვევაში ავტომატურად ერთგება მეგობრობაში შემავალი დანარჩენი ქვეყნები; სომხეთი თავისი დიდძალი შეიარაღებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის, რომელსაც შეუძლია რუსეთის მიერ პროვოცირების შემთხვევაში მოქმედებაში მოიყვანოს საკუთარი შეიარაღება. და ჩვენი ქართული ჯარი, რომელიც ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას, ცხადია, ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს.